სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● №3 (4594) ● 4 მარტი ● 2020 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

დედის დღე და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია!

შვილმრავლობით „საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!“

დედაქალაქში ორი დირექტორი მეგულება, რომლებმაც მამულს ხუთი შვილი აღუზარდეს: მე-10 სკოლისა – სოხუმიდან დევნილი პედაგოგი **ბელა ხუბუტია** და 106-ე სკოლის ხელმძღვანელი – **თენგიზ გულორდავა**. ეს, რაც შეეხება სკოლის დირექტორებს. მასწავლებელი კი, ერთის მეტი ვერ აღმოვაჩინე. ვინაა ის დალოცვილი? ვინ და ორგზის გმირი: გმირი დედა და გმირი პედაგოგი, 107-ე სკოლის ქიმიის წამყვანი მასწავლებელი, 7 შვილისა და მეათეს მოლოდინში 9 შვილიშვილის ბებია **ლიანა აღდგომელაშვილი.**

შარშანწინ დედის დღესთან დაკავშირებით სტატია ვუძღვენით ქალბატონ ლიანას სათაურით **„საქართველოს დიდი სიმდიდრე“.** მას შემდეგ ბევრი სიახლეა. ზოგად მსჯელობას ჯობს მოკლე პასუხებს გავეცნოთ მასწავლებელთან ინტერვიუდან:

„დღევანდელ პირობებში შვიდი შვილისა და 9 შვილიშვილის აღზრდა-პატრონობა არც ისე იოლი საქმეა (აბსოლუტურად გეთანხმებით). ამას ვერაფრით შევძლებდი, თუ არა ჩემი მეუღლის **ნოდარ მამუკაშვილის** ოჯახის სიყვარული, მასზე თავდადებით ზრუნვა და დიდი თანადგომა (ამაშიც უსიტყვოდ გეთანხმებით). გაგაცნობთ შვილებსა და შვილიშვილებს: **ნინო მამუკაშვილი**, მეუღლე **მერაბ გულიაშვილი**, მათი შვილები: **ლონდა** (16 წლის), **გაბრიელი** (8), **საბა** (6); **ნონა მამუკაშვილი**, მეუღლე **გიორგი კევლიშვილი**, ამათგან ჩემი შვილიშვილებია: **ლიზი** (6), **იოანე** (5); **ნათია მამუკაშვილი**; **ნატო მამუკაშვილი**, მეუღლე **გიორგი მიქელაძე**, შვილიშვილები: **ბარბარე** (3), **ანდრია** (2), **დემეტრე** (7

თვის); **ნანა მამუკაშვილი,** მეუღლე **ლაშა გიგაური**, **მაქსიმე** (წლინახევრის); **ანა მამუკაშვილი,** მეუღლე **ლევან ტვილდიანი** (შვილის მოლოდინშია); **ია მამუკაშვილი** (დედაუნივერსიტეტ დამთავრებული). დანარჩენს

ყველას დამთავრებული აქვს ტექნიკური უნივერსიტეტი.

არ მინდა თავის ქება გამომივიდეს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: გამუდმებით ვზრუნავ ჩემს პროფესიულ განვითარებაზე. წელს მომენიჭა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი და გპირდებით, გავხდები **მენტორიც.** პროფესიულ განვითარებას გამოვიყენებ მოსწავლეთა წარმატებების მისაღწევად.

ვზრუნავ ფიზიკურ და სულიერ აქტივობაზე: რეგულარულად ვვარჯიშობ, დაკავებული ვარ აქვააერობიკით, ასევე ჩავერთე ლიბერთი ბანკის და რუსთაველის თეატრის მიერ ორგანიზებულ პროექტებში. ჩემი დევიზია „თუ ბედავ სწავლებას, თავად არ შეწყვიტო სწავლა“.

ჩემი ასეთი მაღალი მოტივაცია განპირობებულია სკოლის დირექტორის, ქალბატონ **მარინე დემეტრაშვილის** პედაგოგებთან კეთილი ურთიერთობით. მისი პროფესიონალიზმი, პიროვნული თვისებები და კოლეგიალური მიდგომები დადებითად ისახება მთელი კოლექტივის წინსვლაზე.

ძველ თაობას კარგად ახსოვს: „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დროს დაწესე-

ბული იყო **„გმირი დედის“** წოდება. ათშვილიანები სოციალურ დახმარებას იღებდნენ: ერთდროულად 25 ათას მანეთს (ეს თანხა დღევანდელ რამდენ ლარს უდრიდა, მკითხველმა შეადაროს და დაიანგარიშოს). არც დღევანდელ დედებს აწყენდათ ასეთი მხარში დგომა. ჩვენი მთავრობაც ფიქრობს ამაზე, ზრუნავს კიდევაც, მაგრამ მწირი ეკონომიკის გამო ვერ აღწევს სასურველ დონეს.

მსოფლიოს ყველა ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის რაოდენობით არის ძლიერი და მდიდარი. აი, გოგლა ლეონიძის ლექსის პერიფრაზი: „მრავალთა შვილთა დედანო, უკვდავი არის თქვენი მშვენება, თქვენგან შევიტყვე, რომ საქართველოს არ უწერია გადაშენება.“

ლია აღდგომელაშვილის მსგავსმა დედებმა და მათმა ნაშიერებმა უნდა იმრავლონ! იმრავლონ! იმრავლონ!

ბორის მიშველაძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

გიორგი ლეონიძე

გაზაფხული

***რომელ** მერანზე მოფრინდი,*
რომელ მქროლავი რაშითა?
„ლილეოს“ ქუხილთა ხმებში,
ნიაღვარების ტაშითა!

ვინ თქვა, სინაზით მოხვალ,
ენძელებით და იითა?
სადაც მწვანე ფრთას დაიქნევ,
ვაჟკაცურ ძგერას მიიტან!

სალამი, ასჯერ სალამი!
შენ, გაზაფხულის დგრიალო!
ყინულს დალეწავ, ხმატკბილად
წყარომ რომ დაიწკრიალოს...

მე გულს დავლეწავ, ნაკვესარ
ლექსმა რომ დაიძგრიალოს!
შორიდან გეხარხარები:
მოდი, სულ ერთად ვიაროთ!

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

როცა „ახალი“ ნამდვილად უკეთესს ნიშნავს

მარინა ჟღენტი: „თქვენი შვილი ჩვენთან პოტენციალის მაქსიმუმს გამოავლენს“

არიან ადამიანები, აქეთ-იქით რომ აწყდებიან, ვერა და ვერ გაუცნობიერებიათ, რისთვის მოავლინა ამქვეყნად მამაცეზიერმა. ზოგი, ბოლოს და ბოლოს, დაადგება ხოლმე სათავისო სავალს, მავანნი კი სიცოცხლის ბოლომდე ან ეძებენ მას, ანდა პასიურად მიჰყვებიან ცხოვრების დინებას.

მაგრამ არიან ისეთებიც — და სწორედ ასეთები განაპირობებენ ძალზე ხშირად ქვეყნის აღმშენებლობას — ვინც თავიდანვე უწყის, რა სურს, რა უნდა აკეთოს ხალხის, სამშობლოსათვის და მტკიცედ, მიზანმიმართულად მიიწევს თავისი დანიშნულების განხორციელებისკენ.

შპს „ახალი სკოლის“ დირექტორმა, ქალბატონმა მარინა ჟღენტმა თავიდანვე უწყოდა, სად იყო მისი ადგილი ცხოვრებაში — დედაუნივერსიტეტის დასავლეთ ენების ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, 21 წლისა ჩაერთო განათლების სისტემაში. იყო მასწავლებელი, მეცნიერი მუშაკი, სიღრმისეულად შეისწავლა ეს სისტემა და 1999 წელს, დიდი გამოცდილების საფუძველზე, „ახალი სკოლა“ დააარსა.

20 წელიწადი. ცოტაა თუ ბევრი? გააჩნია, რისთვის. სულ არაფრიდან ისე რომ გამართო და ააწყო ურთულესი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, საერთაშორისო აღიარება მოიპოვო, მერწმუნეთ, 20 წელიწადი ვერაფერი დიდი დროა.

და კიდევ: ახალი მაინცდამაინც უკეთესს არ ნიშნავს. ამჯერად, როგორაა საქმე? „ახალი სკოლა“ უკეთესსაც, გამორჩეულსაც ნიშნავს?

ქალბატონ მარინას მოვუსმინოთ, საოცარი სითბოთი რომ მოგვითხრობს სკოლაზე. ოღონდ, ზოგი ნიუანსის გამოსაკვეთად, ალაგ-ალაგ ჩავერთობით ხოლმე.

***

„ახალი სკოლა“ პირველი იყო საქართველოში, სადაც საერთაშორისო ბაკალავრიატის სამი პროგრამა განხორციელდა: დაწყებითი კლასების, საბაზო სკოლისა და სადიპლომო პროგრამების.

ამჟამად ჩვენთან ოცდათვრამეტი ეროვნების რვაასამდე მოსწავლე სწავლობს. ვაცნობიერებთ რა, რომ ახალგაზრდების წინაშე მრავალი გამოწვევა დგას, ვცდილობთ შევაიარაღოთ ისინი კრიტიკული აზროვნებისა და კვლევის უნარებით, განვუვითაროთ პოზიტიური დამოკიდებულება სწავლისადმი ჩვენს თბილ და მეგობრულ გარემოში.



სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნის ანალოგიურ სკოლებს შორის, 2018 წელს, ევროკავშირმა ჩვენი სკოლა აირჩია საპილოტე სკოლად და უპრეცედენტო პროექტის — აღმოსავლეთ პარტნიორობის პირველი ევროპული სკოლის პროგრამის განმახორციელებელ საპილოტე სკოლად დაგვასახელა.

„ახალმა სკოლამ“ კარი გაუღო 30 საუკეთესო მოსწავლეს საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელორუსიდან, მოლდოვადან და უკრაინიდან. წელს, ევროკავშირისა და საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის მხარდაჭერით, კიდევ 35 საუკეთესო მოსწავლეს მივიღებთ ამ ქვეყნებიდან.

ინტერლუდია: ადრე ამას ინტერნაციონალური აღზრდა ერქვა. „ახალ სკოლაში“ 38 ეროვნების მოსწავლეა. რაოდენი სიფაქიზე, მათი მენტალიტეტის ცოდნა სჭირდებათ პედაგოგებს, რომ ამის გათვალისწინებით წარმართონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. აი, აქედანაც ეყრება საფუძველი ხალხთა შორის მეგობრობას, ურთიერთის კულტურათა პატივისცემასა და ურთიერგაგებას.

ჩვენი სკოლის ისტორია 20 წლის წინათ, 1999 წელს დაიწყო. 90-იანების საქართველო სამოქალაქო ომში, ეთნიკურ და რეგიონალურ კონფლიქტებში იყო გახვეული; ბარიკადები თბილისის ქუჩებში; დაკარგული ტერიტორიები... ყველაფერმა ამან დიდი გავლენა მოახდინა განათლების სისტემაზე და, ფაქტობრივად, დაანგრია იგი. ეს სწორედ ის დრო იყო, როცა ჩემი უმცროსი ქალიშვილისთვის სკოლის ძებნა დავიწყეთ. სამწუხაროდ, მაშინ თბილისში კარგი სკოლების დიდი არჩევანი არ იყო და გადავწყვიტეთ ჩვენი სკოლა დაგვეარსებინა.

თავდაპირველად, ოცდაათი მოსწავლე და ექვსი ენთუზიასტი მასწავლებელი გვყავდა, მაგრამ სკოლა სწრაფად იზრდებოდა.

2003 წელს სკოლა ბაგებში, თავის ამჟამინდელ შენობაში გადავიდა.

ინტერლუდია: ისტორიული ქარტეხილები — ომი, დევნა, პარტახი მომდევნო ხანის ისტორიკოსებისათვის არის საინტერესო, თორემ მათთვის, ვის კისერზეც გადაიარა ამ საშინელებებმა, თავზარდამცემ რეალობად რჩება. რაოდენი შემართება, საკუთარი ძალების რწმენა უნდა ჰქონოდათ „ახალი სკოლის“ 90-იან წლებში დამფუძნებლებს, რომ ასეთი სირთულის საქმეს შეჭიდებოდნენ, მაგრამ სჯეროდათ, რომ ქვეყნის სასიკეთოდ ირჯებოდნენ.

არსებობის მანძილზე „ახალი სკოლა“ ქართველ და უცხოელ მოსწავლეებს პირველხარისხოვან საერთაშორისო განათლებას სთავაზობს. ჩვენი წარმატებები იმ მრავალრიცხოვანი, პროფესიაში შეყვარებული პედაგოგების, პროფესიონალი ადმინისტრატორების, ერთგული მშობლებისა და ნიჭიერი მოსწავლეების თანამშრომლობის შედეგია, რომლებიც ამ ხნის მანძილზე ასწავლიდნენ, მუშაობდნენ, ან სწავლობდნენ „ახალ სკოლაში“. თითოეულმა მათგანმა თავისი პოზიტიური კვალი დაჩნია სკოლას!

სკოლის დაწყებითი კლასების პროგრამა (3-დან – 12 წლამდე მოსწავლეთათვის) ძიებაზე დაფუძნებული კურიკულუმია. იგი სწავლებასთან კონცეპტუალურ მიდგომას ეფუძნება; ბავშვებს საჭირო უნარებსა და პოზიტიურ დამოკიდებულებებს უვითარებს. სწავლებისას დიდი ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ სწავლობენ და რას სწავლობენ მოსწავლეები. ჩვენ მათ ვასწავლით პასუხისმგებლობის აღებას, რეფლექსიას ნასწავლზე. მასწავლებლები ყმაწვილებს ინტელექტუალური და პიროვნული შესაძლებლობების მაქსიმუმის მიღწევაში ეხმარებიან.

საერთაშორისო ბაკალავრიატის საბაზო პროგრამის კონცეფცია სრულად ეხმიანება სკოლის კონცეფციას. შექმნილია შთამაგონებელი გარემო, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს წარმატებით მოემზადონ შემდეგი საფეხურისთვის — საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამისათვის.

საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამა, რომელსაც ჩვენ მოსწავლეებს ვთავაზობთ, საერთაშორისოდ აღიარებულ უნივერსიტეტში მისაღები კვალიფიკაციაა. პროგრამის მიზანია, მოსწავლეები აღზარდოს იმ ფასეულობებზე, რაც მომავალში საღ გადაწყვეტილებებს მიაღებინებს, რაც გააზრებულ არჩევანს გააკეთებინებთ, გარშემომყოფთა მიმართ პატივისცემით აღავსებთ.

16-17 წლის მოსწავლეები მრავალეროვან, მულტიკულტურულ გარემოში სწავლობენ. სკოლის თანამედროვე ენების პროგრამა შესაძლებლობას აძლევს მათ სასურველი ენა აირჩიონ შეთავაზებული ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ესპანური და რუსული ენებიდან.

ინტერლუდია: სკოლა რთული ორგანიზმია. მის წარმატებას, ყოველ წახნაგის ურთიერთშეთანხმებული, გამართული მუშაობა განაპირობებს. ამიტომ „ახალი სკოლის“ ასეთი შთამბეჭდავი მიღწევების ფუძემდებელი მისი 200-ვე მუშაკია, ვინც დღენიადაგ რუდუნებით იღვწის ყმაწვილების სასიკეთოდ.

შვილებისთვის სკოლის არჩევა თქვენს მიერ მისაღებ გადაწყვეტილებათაგან, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ჩვენ ეს გვესმის და გარწმუნებთ, რომ თქვენი შვილი ჩვენთან პოტენციალის მაქსიმუმს გამოავლენს და ჰარმონიულ პიროვნებად აღიზრდება.

გეპატიჟებით „ახალ სკოლაში“, რათა გიჩვენოთ სკოლის მიღწევები და გიამბოთ ჩვენი მოსწავლეების წარმატებების შესახებ!

მარინა ჟღენტი,
შპს „ახალი სკოლის“ დირექტორი

ნოემრის სტუმარი: სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“ - 25

აქ ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი სწავლება ფრთაშესხმულია

დაფუძნებისთანავე *გახდა იგი მიმზიდველი, პოპულარული, რეიტინგული. რატომ? იმიტომ, რომ კერძო სკოლა* **„ცოდნას“** *სათავეში ჩაუდგა გამობრძმედილი, შემოქმედი, მრავალ სიახლეთა დამნერგავი დირექტორი* **ნაზი ნადირაძე**. *მანამდე იგი, თავად ჩინებული პედაგოგი, წარმატებით უძღვებოდა გლდანში 71-ე საჯარო სკოლას. იქ შეძენილი გამოცდილება ამ კერძო სკოლაში გადმონერგა, შეკრა ძლიერი პროფესიონალთა გუნდი და... მას შემდეგ „ცოდნა“ წლიდან წლამდე იზრდებოდა, ძლიერდებოდა, ვითარცა ზღაპრული მზეჭაბუკი ამირანი და აჰა! დღეს თვალსა და გულს ახარებს ცოდნის ამ ტაძრის ხილვა თავისი იერსახით, ევროსტანდარტული ინფრასტრუქტურით... „რა გიამბოთ ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა?“ გადავწყვიტე საიუბილეოდ გამეშუქებინა სკოლა „ცოდნის“ ცხოვრება, მიღწევები, გატაცებით მოღვაწე პედაგოგთა საქმიანობა, მაგრამ ქართული ენა-ლიტერატურის საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელმა ისეთი სტატია მომაწოდა, ილიასი არ იყოს, „კალამს ძირს ვდებ და გზას მას ვუთმობ“.*

რედაქტორი

„ცოდნა“- გზა დიდი წარმატებისკენ!...

მუდმივი სიახლეები... მუდმივი სწრაფვა განვითარებისკენ, წინსვლისკენ, უამრავი ახალი იდეა, სიურპრიზი, დიდი სითბო, სიყვარული, ხალისი თანამშრომლობა, თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების საინტერესო პროცესი... აი, ასეთია **სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“** ცხოვრების რიტმი ,აქ არც ერთი დღე არ ჰგავს ერთმანეთს... სკოლის კედლებში საინტერესო ისტორია იწერება ყოველ წამს, ყოველ დღეს... რაც სკოლის დირექტორის ქალბატონი **ნაზი ნადირაძის** დიდი ძალისხმევის, თითოეული მასწავლებლის, მოსწავლისა და მათი მშობლების დიდი დამსახურებაა...

25 წლის იუბილე აღნიშნა სკოლამ ცოტა ხნის წინ. საიუბილეო საღამო იყო ძალიან ემოციური ბევრი საინტერესო ღონისძიებით და ცნობილი ადამიანების სტუმრობით... კერძო სკოლისთვის ეს თარიღი მრავლისმთქმელია და მის განსაკუთრებულ სიცოცხლისუნარიანობაზე, ბევრ წარმატებულ დღეზე, სირთულესა თუ მიღწეულ შედეგებზე მეტყველებს...

ჩვენი სკოლის ცხოვრება დატვირთულია საინტერესო და ეფექტიანი ღონისძიებებით. ადმინისტრაცია დღენიადაგ ცდილობს ფეხი აუწყოს განათლების თანამედროვე ტენდენციებს. უფრო ხალისიანი და დასამახსოვრებელი გახადოს თითოეული ბავშვისთვის სასკოლო ცხოვრება და, რაც მთავარია, ცოდნის მიღებასთან ერთად, ხელი შეუწყოს მოსწავლის დამოუკიდებელ ,ჰუმანურ ,კეთილშობილურ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს ,რასაც ემყარება ბავშვის თანამედროვე აღზრდის მეთოდიკა.

ამ მხრივ აღსანიშნავია ის უამრავი პროექტი, რომლებიც ხორციელდება მუდმივად ჩვენს სკოლაში სლოგანის **„სიკეთე გადამდებია“** ფარგლებში. „ცოდნას“ III¹ კლასის დამრიგებლის **მედეია ბოლქვაძის** და მშობლების ერთობლივი პროექტი **ბერი ანდრიას** საქველმოქმედო ფონდთან; I¹ კლასის დამრიგებლის **ლიკა ლაგვილავასა** და მშობელთა ინიციატივით დახმარება გაეწია თემის ხელმოკლე ოჯახის პატარებს. ბავშვები ხომ მაგალითით სწავლობენ გულმოწყალებას, მზრუნველობას, ქველმოქმედებას. და შეიგრძნობენ იმ ბედნიერებას, როდესაც შეგიძლია ცოტათი უკეთესი გახადო სხვების ცხოვრება. ასე ზრდიან თავიანთ აღსაზრდელებს ჩვენი სკოლის მასწავლებლები.

სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის სამუშაო ფორმატში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის **დარეჯან ცხომარიას** ინიციატივით ხორციელდება ძალიან საინტრესო და მასშტაბური პროექტი **„ქართული ფესვები“.** პროექტი ემსახურება თურქეთში არსებულ ქართულ სათვისტომოებთან ურთიერთობის დამყარებას. პირველ ეტაპზე შედგა ტელეხიდი თურქეთის ქართულ დიასპორასთან - სტამბულში არსებულ **შოთა რუსთაველის** საზოგადოების და ქართული ენის ცენტრის წარმომადგენლებთან **მერი დიასამიძე, „ცოდნას“** წარმომადგენლობითი ვიზიტი თურქეთში სტამბულის ქართული ენის ცენტრში.

სკოლა-ლიცეუმ **„ცოდნაში“** ყოველწლიურად განსაკუთრებული ხალისით აღინიშნება წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე. წელსაც ჩატარდა სხვადასხვა საინტერესო აქტივობა. **მიხეილ ჯავახიშვილის** 140 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოსწავლეებმა წაიკითხეს მწერლის შემოქმედებიდან მოთხრობები, გაეცნენ მწერლის ბიოგრაფიის საინტერესო ეპიზოდებს.

ქართული ენისა და ლიტერატურის და დაწყებითი კლასების კათედრებმა (**ლია ბაზაძე, ნინო სამსონაშვილი**) განახორციელეს ერთობლივი პროექტი: მერვეკლასელებმა სასიამოვნო გარემოში წაუკითხეს მესამეკლასელებს ზღაპრები.

სკოლის დირექტორი, **ნაზი ნადირაძე** უშუალოდ ჩაერთო აქტივობებში. მან პირველკლასელებს თავად წაუკითხა იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებები.

სკოლაში ხშირად იმართება სასწავლო-შემეცნებითი კონკურსები, შემოქმედებითი საღამოები, კონფერენციები, გასართობი ღონისძიებები, რაც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ჩართულობას. ხელს უწყობს ურთიერთთანამშრომლობის, გუნდურობის, კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას მოსწავლეებში. მოწვეულ იქნა ჩვენი მოსწავლის მშობელი, პოეტი **ლალი ფრუიძე**, რომელმაც წარადგინა თავისი ლექსების კრებული **„ვარსკვლავებს გაჩუქებთ“**. (ფოტოები - ასევე ჩატარდა კითხვის კონკურსი დაწყებითებში, ფიზიკის კონფერენცია, **ლალი ფრუიძის** პოეზიის საღამო, კარნავალი, ბაკურიანი).

სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა მისი მაღალკვალიფიციური, პროფესიონალ, პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული და საქმის ერთგული მასწავლებლები. უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა უმეტესობა უფროსი მასწავლებლის სტატუსითაა ,გვყავს ასევე წამყვანი მასწავლებლები.

სწავლა-სწავლების ხარისხზე და ზოგადად ხარისხიან განათლებაზე აქტიურად მუდმივად ზრუნავენ კათედრის ხელმძღვანელები: **ლია ბაზაძე, ციალა ცაბაძე, თათია ლაბაძე, ბელა თოდუა, ნინო სამსონაშვილი.** დირექტორის მოადგილე **ნინო მელქაძე** და ხარისხის მართვის მენეჯერი **რუსუდან ფარეხელაშვილი**. მთელი პასუხისმგებლობით მუშაობს სკოლის ფსიქოლოგი **რუსუდან კილაძე.**

აღსანიშნავია დაწყებით კლასებში მასწავლებელთა: **ლიკა ლაგვილავას, თეკლა ბეგიაშვილის, ინგა ქავთარაძის, ნატალია კვირიტიძის, მედეია ბოლქვაძის, ნინო სამსონაშვილის, ნია დათუკიშვილის, თამუნა მაღრაძის, ესმა თევზაძის, თინა კოპალიანის, ვლადიმერ ხოროშილოვის,** წარმატებული საქმიანიობა.

საინტერესოდ წარმართავენ საგაკვეთილო პროცესს, როგორც გამოცდილი მასწავლებლები: **ხათუნა გრძელიძე, ტოფიკ იბრაგიმოვი, მზია ლომიძე, ირინა დოლიძე, მზია მარკოზაშვილი, ვახტანგ ძებნიაური, ირინა გეწაძე, გიორგი ღვალაძე,** ასევე დამწყები მასწავლებლები: **ეკატერინე ბეჟიტაშვილი, მარიამ მოდებაძე, ქეთევან მანია, ზურაბ მათიაშვილი.**

მოსწავლეთა სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის ეფექტიანად ზრუნავენ პედაგოგთა თანაშემწეები: **ირმა ორჯონიკიძე, მადონა საური, ნატო კაკიაშვილი, მირანდა აბრამიშვილი, გვანცა მთიულიშვილი, ნატალია ჩაჩანიძე, მარიამ შილაკაძე, ქეთი კალანდაძე** და **ნინო მარშანიშვილი.** კლასგარეშე აქტივობების წარმატებით განხორციელებაში აქტიური როლი მიუძღვის - **ნანა დიასამიძეს.** ძალიან საინტერესო აქტივობების ინიციატორია **თინათინ ნოზაძე.** ქებას იმსახურებენ: შრომის უსაფრთხოების მენეჯერი **გიორგი ნადირაძე,** ოფისის მენეჯერი **შორენა მოდებაძე,** საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი **ნონა ჭაავა,** სკოლის უსაფრთხოების დაცვას მაღალი პასუხიმგებლობით ეკიდება **ვახტანგ კიკნაძე.**

ასე, რომ **„ცოდნა“** ის ადგილია,სადაც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მაღალი სტანდარტი, ძალადობისგან დაცული გარემო, სიხარული, სიყვარული და ახალი სიმაღლეებისკენ მუდმივი სწრაფვაა დამკვიდრებული.

„ცოდნა“ - ესაა ფართო გზა წარმატებისკენ!

ლია ბაზაძე,
ქართული ენა-ლიტერატურის
წამყვანი მასწავლებელი.

რედაქტორის მინაწერი: სკოლა-ლიცეუმ „ცოდნის“ ყველა მუშაკს, დედა იქნება თუ დედობის კანდიდატი, ყველა მოსწავლეს გაზეთ **„სახალხო განათლება+“**-ის რედაქცია ულოცავს დედის დღეს, 8 მარტს და ბუნების დიდი ზეიმის - გაზაფხულის მობრძანებას!

„გენიოსი“ თამამად უშლის ასპარეზს ახალგაზრდა სპეციალისტებს

ინტერნეტში ასეთ ტექსტს წავაწყდი:

ვაკანსიები და მოთხოვნები დღეს

- 50-წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- დრაკონის დამარცხება;
- ვერტმფრენის მართვის პრავა;
- თერმობირთვული სინთეზის ცოდნა;
- ჩინეთის დიდი კედლის რივოკით გარბენა;
- ტელეკინეზის საფუძვლების ცოდნა;
- ოლიმპიადის ოქროს მედალი.
უპირატესობა ენიჭებათ ნობელის პრემიის ლაურეატებს.
ასაკი: 18-20 წ.
ანაზღაურება: 300 ლ.

ეს, პირობითად, პამფლეტი ზუსტად ასახავს საზოგადოებრიობის, უფრო ზუსტად, სახელმწიფოს დამოკიდებულებას ახალგაზრდობის მიმართ. თანაც, აშკარად წიგნიერისა და მოაზროვნის შეთხზულია (თერმობირთვული სინთეზი, ტელეკინეზი, ჩინეთის დიდი კედელი...) და იმათი სულის ამოძახილია, ვისაც სამშობლოში, ძირითადად, ლაქიობა არგუნეს წილად.

ჯერ კიდევ ისტორიის მამად ცხებული ჰეროდოტე წერდა, მამები უკმაყოფილონი არიან შვილებითო. ანუ წინა თაობა უკმაყოფილოა ხოლმე – მომდევნოთი. აგერ, ახლაც ყოველი მხრიდან ისმის ფარისევლური ვაივიში, ეს რა ახალგაზრდობა მოდისო. ფარისევლური, რადგან ვისი ბრალია, თუ ეროვნულ ფესვებს მოგლეჯილი, უცხოური ცრუ კერპების მოთაყვანე თაობა მოდის?! ჩვენი, ჩვენი გამოისობითაა. წლებია გველაძუურად ებრძვიან ყოველივე ეროვნულს. იმას, რითაც ერი ერობს, რაც მხოლოდ მისია და რითაც გამოირჩევა სხვათაგან. სამიზნედ კი ყველაზე მოწყვლადი – მოზარდები, ახალგაზრდები დაისახეს და ყოველნაირად ურყვნიან ზნეობას.

მხოლოდ სიტყვით, ნიჰილიზმად და ცინიზმად ქცეული სიტყვით არის ახალგაზრდობა ქვეყნის მომავალი. საქმით კი თუნდაც იოტისოდენად რომ აღელვებდეთ ქვეყანა და მისი მომავალი, ამ სავალალო დღეში არ აღმოვჩნდებოდით.

არადა, ქვეყნის ქარტეხილები სწორედ ახალგაზრდობის კისერზე გადადიოდა და გადავა კიდეც. აგერ, აფხაზეთი და შიდა ქართლი; ე. წ. პოლიტიკოსთა ბილწ და ბინძურ თამაშებს რა საჯიშე ბიჭები შეეწირნენ!

ენდეთ ახალგაზრდებს, მიეცით ასპარეზი და შეუქმენით ნიჭის, უნარის გამოვლენის პირობები! სხვაგვარად ქვეყანა ჭაობში ამყაყდება, მომავალი არ ექნება!

ამ სავალალო ფონზე მით უფრო გამოსარჩევნი და დასაფასებელნი არიან ისინი, ვისაც სრულად აქვს შეგნებული ახალგაზრდობის როლი ქვეყნის წინსვლაში და, სირთულეების მიუხედავად, ენდობა მას, ფართო სამოქმედო ასპარეზს უშლის.

კერძო სკოლა „გენიოსი“, რომლის მართლაც თვალსაჩინო წარმატებებზე შარშანწინ წერდა ჩვენი გაზეთი, სწავლა-აღზრდის სწორედ ის კერაა, სადაც ახალგაზრდა სპეციალისტები საქმდებიან და ღირსეულად ემსახურებიან ყმაწვილების ჰარმონიულად აღზრდის რთულსა და საპატიო საქმეს.

დავაკონკრეტოთ: ამ სასწავლო წელს სკოლამ **ქეთევან ფეიქრიშვილი** (ბუნებისმეტყველება), **ანა ხურცილავა** (ქართული ენა და ლიტერატურა), **მარიამ ჯაბნიაშვილი** (თანამედროვე აზროვნება და ფილოსოფია) და **ანიკო ოკუჯავა** (დაწყებითი კლასები) მიიღო. თანაც, არა სხვათა გაშვების ხარჯზე. ცხადია, ხელაღებით არავინ მიიღებდა. ე. წ. ნეპოტიზმი სახელმწიფო დაწესებულებების სენია, თორემ კერძო სტრუქტურაში, თანაც სკოლაში ასეთს ვინ გააჭაჭანებს?! ყველამ წარმატებით გაიარა სტაჟირება და დამსახურებულად შეუდგა პედაგოგობას.

ქეთევანი ჯერაც ილიას სახელობის უნივერსიტეტის IV კურსზე სწავლობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ბიოლოგიის განხრით, მაგრამ საუკეთესო იყო სტაჟიორთა შორის და სკოლა ენდო მას. არც შემცდარა: ახალგაზრდა სპეციალისტი დიდებულად უთავსებს სწავლასა და სწავლებას. სკოლის ეკოკლუბი, მისი ხელმძღვანელობით, ერთ-ერთი მოწინავეა ქვეყანაში. ქეთევანის თქმით, უმთავრესი ამოცანა ყმაწვილებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაა და ეს ამოცანა გლობალურ და ადგილობრივ პრობლემებს მოიცავს. მრავალი გააზრებული, მიზანმიმართული ღონისძიების ჩამოთვლა ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას. მხოლოდ ამას ვიტყვი – ასე აღზრდილი ყმაწვილები, დიდი ალბათობით, შვილებსაც ამ სულისკვეთებით აღზრდიან.

რაოდენ რთულია განსხვავებული ხასიათის, შესაძლებლობების პატარების დაინტერესება, დისციპლინისთვის მიჩვევა; სწავლების ისე წარმართვა, რომ ყმაწვილებმა ხალისიანად, ლამის თამაშ-თამაშ შეიყვარონ სწავლა. თანაც, კრეატიული აზროვნების ჩამოყალიბებით. ამას წარმატებით ახერხებს **ანიკო ოკუჯავა.**

ანა ხურცილავას მიაჩნია, რომ მთავარი თავისუფალი აზროვნებაა.

ამ რამდენიმე წლის წინათ, სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოში შეამოწმა მოსწავლეთა სწორად ასეთი აზროვნების დონე და „კულისებში“ მიგვიჩინა ადგილი.

თავისუფალი აზროვნება, უპირველესად, კრიტიკულ აზროვნებას, ავ-კარგის გარჩევის უნარს ნიშნავს. კითხულობენ და განიხილავენ თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებს, იმართება წარმოსახვითი ინტერვიუები ავტორებთან; მასწავლებელი ფრაზას, წინადადებას სთავაზობს მოსწავლეებს და მათ ამაზე ამბავი უნდა ააგონ...

აქვე აღვნიშნავ: სკოლაში კრეატიულ აზროვნებას, ლოგიკას ასწავლიან. ასწავლიან ისე, რომ ტვინის ორივე ნახევარსფერო თანაზომიერად განვითარდეს და ყმაწვილებს არასტანდარტული სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარი გამოუმუშავდეთ. საამისოდ სპეციალური 5 წლიანი გეგმა აქვთ შემუშავებული, რომლის ხორცშესხმასაც, დირექციასთან ერთად, საინიციატივო ჯგუფი უდგას სათავეში (ხელმძღვანელი – **მზია ჯიმშიტაშვილი**).

გაძლიერებულად ისწავლება მათემატიკაც, რაც, ზემოთქმულიდთან ერთად, მოსწავლეებში ისეთი თვისებების ჩამოსაყალიბებლად არის გამიზნული, რომ ისინი ნებისმიერ სფეროში წარმატებულნი იყვნენ.

ყმაწვილების თვალსაწიერის განვითარებისა და ლოგიკური, სხარტი აზროვნების ჩამოსაყალიბებლად შემოიღო „გენიოსმა“ საგანი – თანამედროვე აზროვნება და ფილოსოფია. ანტიკური ხანიდან მოყოლებული კაცობრიობის დიდ მოაზროვნეთა თხზულებებს ყმაწვილებისთვის მისაწვდომად ასწავლის მათ ასევე „ახალწვეული“ **მარიამ ჯაბნიაშვილი.**

ესთეტიკურ გემოვნებას უვითარებს, ფერებით აზროვნებას აჩვევს მოსწავლეებს ხატვის წრე (ხელმძღვანელი – **ხათუნა გიგუაშვილი**).

„გენიოსში“ ბავშვების ჯანმრთელობა პრიორიტეტულია. ამის სადარაჯოზე დგას ექიმი, ქალბატონი **მაკა ადეიშვილი.** იგი ამ გართულებული ვირუსულ ვითარებაში ბევრ პროფილაქტიკურ ღონისძიებას მიმართავს.

დასკვნა: „გენიოსელებისთვის“ სწავლა-აღზრდის ძირისძირი მოსწავლეთა აზროვნების განვითარებაზე დაფუძნებული პროცესია, რასაც წარმატებით ახორციელებს კიდეც.

სკოლა რთული ორგანიზმია და მის წინსვლაში „გენიოსის“ ყველა რგოლს შეაქვს წვლილი: **სერგო, ბესო და არსენ ბახიებს, ლიკა ჯოლოგუას, მარინა ჭარელიშვილს, ზაირა ქარაიას, ულიანა კვიციანს, ლალი იაშვილს, ელენე ბოლქვაძეს, მარინა მულაძეს, მარინა პურიჭამიაშვილს, კლარა ლამბერტს, სოფიო სახიაშვილს, ირმა თოდუას, ქეთევან ლაცაბიძეს, თამარ აზმაიფარაშვილს, მარია თუაევას, ნანა გოცირიძეს, ლიკა ჭორმოსიაშვილს, ნინო კაზარიანს, ინგა კაკალიას, ლელა ბერუაშვილს.**

„გენიოსს“ სათავეში საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთი ცნობილი, ღვაწლმოსილი მუშაკი, სათანადო დარგის წიგნების ავტორი, ქალბატონი **ვერა ყურულაშვილი** უდგას.

საგაზეთო სივრცის შეზღუდულობის გამო, იძულებული ვარ, აქ შევჩერდე და ყმაწვილების სასიკეთო კიდევ მრავალ პროექტზე, ინიციატივასა და ღონისძიებაზე ვეღარაფერი ვთქვა, მაგრამ უმთავრესი, ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტის „გენიოსისეული“ გზა გამოიკვეთა – სკოლა თამამად უთმობს აპარეზს ახალგაზრდა სპეციალისტებს, რითაც თუნდაც მცირედ, თავის შეძლებისდაკვალობაზე ამცირებს ქვეყნისთვის დამღუპველ სენს – ინტელექტის გადინებას და სამშობლოს მოაზროვნე თაობებს უზრდის.

კონსტანტინე ბურბენიძე

86-ე საჯარო სკოლა მუდამ მოწინავეა

ახალი შენობის მოლოდინი და ენთუზიაზმი

აი ასეთი იქნება ახალი სკოლა

ბევრჯერ გაგვიშუქებია ამ სკოლის პედკოლექტივის საქმიანობა, მუდამ პროგრესის მოწმე ვყოფილვართ. ამ წარმატების ფორმულა კი მარტივია: აქ ტრადიციულად ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობდნენ და ახლაც არიან. მით უფრო კარგია, რომ სკოლას მეტად გამოცდილი, შემოქმედი დირექტორი **ნანა ქავჯაია** უნარიანად უძღვება. ასე ინიციატივიანად, ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა ქალბატონი ნანა წლების მანძილზე დედაქალაქის 32-ე საჯარო სკოლას. მან იქ შეძენილი გამოცდილება 86-ეში დიდი წარმატებით გადმონერგა და განავითარა. ნათქვამია, გაგონილს ნანახი სჯობს, ზოგად მსჯელობას კი - სტატისტიკაო. ჰოდა, ჩვენც შევეცდებით, მოკლედ მოგითხროთ, როგორ არიან ორიენტირებულნი 86-ე სკოლელები სიახლეებზე, ხარისხიან, კონკურენტუნარიან სწავლებაში მაღალ შედეგებზე.

* * *

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებითა და ხელშეწყობით ახალი სასკოლო კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს.

დირექტორს პედაგოგებთან ერთად გამოცდილი მოადგილე **სიდონია ჟიჟილაშვილი** და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ირმა ჯავახიშვილი** მხარში უდგანან.

გასახარი ისაა, რომ ყველა სკოლის ახალი შენობის მოლოდინშია.

მასწავლებელთა პროფესიული ზრდის სქემის ფარგლებში აიმაღლეს სტატუსი და უფროსი მასწავლებლები გახდნენ: დაწყებით საფეხურზე – **რუსუდან გიოშვილი** და **მაია ქარსაულიძე**, ისტორიაში **მაია ლომსაძე**, ფიზიკაში **კარინე გიორგაძე,** სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში **ერმონია ფიცხელაური**, ბიოლოგიაში **სუზანა ეფრიკიანი,** მათემატიკაში **ლეილა არუთინოვი.**

წამყვანი მასწავლებლები გახდნენ: დაწყებითში **ხათუნა სეფიაშვილი**; გეოგრაფიაში **შორენა საგინაშვილი;** ისტორიაში **ანაიტ მუტაფიანი.**

პირველკლასელმა მოსწავლეებმა საჩუქრად მიიღეს **გოგებაშვილის „დედა ენა“.**

საგანი **„სამოქალაქო განათლება“** პილოტირებულია 2018 წლის მარტიდან. ამასთან დაკავშირებით სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი **„ნიკე“.** სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, **მაია ლომსაძემ** გაიარა რამდენიმე ტრენინგი და ცდილობს მიღებული ინფორმაცია საინტერესოდ და სახალისოდ შესთავაზოს მოსწავლეებს. პროგრამის ხელმძღვანელები სისტემატურად ესწრებიან **„სამოქალაქო განათლების“** გაკვეთილებს და დადებითად აფასებენ პედაგოგის საქმიანობას. **მაია ლომსაძის** თაოსნობით IX-X კლასის მოსწავლეებმა გაიარეს საინტერესო ტრენინგები საქართველოს ეროვნულ სახელმწიფო არქივში და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ბავშვები აქტიურად მონაწილეობდნენ სასახლეში ჩატარებულ ტრენინგებსა და ღონისძიებებში. მოსწავლეები მუშაობდნენ შემდეგ პროექტებზე:

„ნაადრევი ქორწინება და გენდერული უთანასწორობა“;

„წიგნი ჩემი მეგობარია“;

„თანადგომა“ - სოციალურად დაუცველ ბავშვებთან ურთიერთობა;

„სტუმარ-მასპინძლობა“;

„სიკეთის გზა“.

მოსწავლეთა ინიციატივით განხორციელდა ღონისძიებები: **„მე ვირჩევ ტოლერანტობასა და თანასწორობას“** და **„3 დეკემბერი შშმ პირთა საერთაშორისო დღეა.“**

სკოლას სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ **„მერმისთან“** გაფორმებული აქვს მემორანდუმი **„სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“.** მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებმა პროგრამის ფარგლებში შეისწავლეს **„სამოსის კერვა“** (პედაგოგი **„მერმისიდან“ ლია მიქელაძე**) და ქართული ტრადიციების კვალდაკვალ - ტიხრული მინანქარი (პედაგოგი **ეკა შავდია**). მოსწავლეები დიდი ინტერესით ესწრებიან გაკვეთილებს და დამოუკიდებლად ქმნიან სხვადასხვა სამოსს (შარვალი, ქვედაკაბა), ქარგავენ და მუშაობენ ტიხრულ მინანქარზე.

მრავალშვილიანი მასწავლებლები არიან: **ნანა ქავჯაია, ხათუნა სეფიაშვილი, მაია ქარსაულიძე.**

როგორც ხედავთ, მოტივაცია ძლიერია, ენთუზიაზმი დიდია, პროფესიონალიზმი მაღალია. ყველაფერი ეს, მათემატიკის ენაზე რომ ვთქვათ, პირდაპირ-პროპორციულია სასიხარულო შედეგებისა.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

რედაქტორის მინაწერი: გაზეთი „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია ყველა დღესასწაულთან ერთად ყველაზე დიდ სიხარულს - სკოლის ახალი კომპლექსის აშენებას გილოცავთ, კოლეგებო!

ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ!

მე-60 სკოლის მიღწევები

პროფესიონალიზმი წარმატების საწინდარია

თბილისის მე-60 საჯარო სკოლა მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. სკოლის ყველა პედაგოგი და თანამშრომელი ზრუნავს მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე და, რა თქმა უნდა, სწავლა-აღზრდაზე თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლა ამაყობს წარმატებებით და მაღალკვალიფიციური პედაგოგებით. საგულისხმოა, რომ მე-60 საჯარო სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობას. სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და საკლასო ოთახები, კაბინეტები აღჭურვილია ყველა საჭირო, თანამედროვე ინვენტარით.

სკოლის წარმატებებზე გვესაუბრება სკოლის დირექტორი **შოთა მალაზონია:** მე-60 სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენილი სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით. კერძოდ, სკოლა წინასწარ განსაზღვრული პერიოდის შესაბამისად ახორციელებს აღნიშნული გეგმით დასახულ შემდეგ აქტივობებს: **სკოლის ორგანიზაციული განვითარება; სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება; მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება; სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა** და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით; უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა; მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში; სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება და ა.შ. 2018-2019 სასწავლო წლის ბოლოს მე-12 კლასში ირიცხებოდა 67 მოსწავლე. აღნიშნული წლის ბოლოს სკოლას ჰყავდა 11 ოქროს მედალოსანი. საბაზო საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის 8 მოსწავლეს პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში გადაეცა კომპიუტერი.

კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში სკოლაში ჩატარდა სემესტრული, წლიური, ექსტერნატისა და საშემოდგომო გამოცდები. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა აქტიური მუშაობის შედეგად, 1127 მოსწავლიდან 1107 მოსწავლემ წარმატებით დაძლია შესაბამისი კლასისათვის განსაზღვრული პროგრამა. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს აღკვეთოს მოსწავლეთა შორის ბულინგი, აამაღლოს მოსწავლეებში სამოქალაქო თვითშეგნება, დანერგოს კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა და დასაქმებულთა უფლებების დაცვას. სკოლა იყენებს ყველა შესაძლებლობას მოსწავლეთათვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი ინტელექტუალური, სოციალური თუ ფიზიკური პოტენციალი. სკოლა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო (ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა, სხვა სასწავლო ოლიმპიადები - კინგსი, ევერესტი, ეტალონი) და კულტურულ ღონისძიებაში.

დირექცია სისტემატურად ზრუნავს საბიბლიოთეკო ფონდის ზრდაზე. ბიბლიოთეკის მუშაობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მუდმივად იზრდება მკითხველთა რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ მე-60 სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა 2019 წლის 10 ოქტომბერს. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში. საშუალო საფეხურის თავმჯდომარედ არჩეული იქნა - 10ბ კლასის მოსწავლე - **საბა თოლორდავა,** რომელიც ასევე იქნება მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, ხოლო მდივანი - მე-10ბ კლასის მოსწავლე **ნინი პაპიაშვილი.** დისციპლინურ კომიტეტში მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლად აირჩიეს: **ნინი პაპიაშვილი, თეკლა მამუჩიშვილი, ნიკოლოზ თეთრაძე.** თვითმმართველობის ახლად არჩეული წევრების ინიციატივით სკოლაში შეიქმნა სხვადასხვა კლუბი, მათ შორის აკადემიური სექტორი, „მცირე აკადემია“- ინტელექტუალური კლუბი, კულტ-მასობრივი, სპორტული და საინფორმაციო სექტორები. თვითმმართველობა ზრუნავს მოსწავლეთა პრობლემების გადაჭრის გზების დასახვასა და სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებაზე. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ეგიდით გასულ სასწავლო წელს ჩატარდა: **კულინარული დუელი** (V-VII კლასის მოსწავლეებს შორის); **გაზაფხულისა და ზაფხულის სპორტული შეჯიბრებები** (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ბადმინტონი, მაგიდის ჩოგბურთი).

სკოლაში კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, მუდმივად ხდება სკოლის მატერიალური ბაზის განახლება და რეაბილიტაცია, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლი და დაცვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ გაითვალისწინა სკოლის დირექციის თხოვნა და მოხდა სსიპ-ქალაქ თბილისის მე-60 საჯარო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია. სრულად გარემონტდა ყველა საკლასო ოთახი და დერეფნები, სააქტო და სპორტული დარბაზები, კვების ბლოკი. ოთხივე სართულზე მოეწყო ახალი სველი წერტილები. სკოლის ეზოში დაიგო ასფალტი, შენობის ირგვლივ მოეწყო წყალარიდების სისტემა. სკოლის ეზოში განახლდა როგორც ხელოვნურ ბალახსაფარიანი, ასევე ასფალტის საფარიანი სპორტული მოედნები.

დირექტორი კმაყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგებისა და საგნობრივი კათედრების მუშაობით. სკოლაში სულ 5 წამყვანი პედაგოგია, 60 სერთიფიცირებული, ერთი მენტორი მასწავლებელი.

ასეთი მუშაობით სკოლა უთუოდ წარმატებული იქნება.

მზია გოგოძე

54-ე სკოლელთა სიტყვა საქმიანი

ძლიერი მოტივაცია - კონკურენტუნარიანობის გარანტი

შარშან ამ სკოლის მასწავლებელთა ევროსტანდარტების სტილით წარმატებულ საქმიანობაზე ვესაუბრეთ მკითხველს. მაშინ დირექტორის პირით პედაგოგებმა პირობა დადეს: **„განათლების ქართული, ეროვნული მოდელი უნდა შევქმნათო“** და შექმნეს კიდეც. თუ როგორ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი უნდა ვთქვათ შემდეგი: აქ ყველას კარგად აქვს გათავისებული ერთი ბრძენკაცის ფორმულა: **„კადრები წყვეტენ ყველაფერს!“** ამ მხრივ სანიმუშო ვითარებაა: ძლიერი, გამოცდილი, სიახლის მაძიებელი მასწავლებლები გატაცებით მოღვაწეობენ, მეტი ბედნიერებაა ის, რომ ამ ანსამბლს ერუდირებული, შემოქმედი დირექტორი, თავად ბრწყინვალე პედაგოგი **ქეთევან ჩოქური** დირიჟორობს. დირექტორს ერთგულად მხარში უდგანან ასევე გამოცდილი მოადგილე **თინათინ ტალიაშვილი,** სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნიჭიერი ორგანიზატორი **დარეჯან ნებიერიძე**, რა თქმა უნდა, ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელი. თითოეულ

მათგანს კარგად ესმის, რომ მოსწავლეთა ჩართულობა-აქტივობები შემოქმედებით ღონისძიებებში, კონკურსებში, ტურებში მკვეთრად ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, დაინტერესებას და თავის მხრივ ზრდის სწავლის ხარისხს, კონკურენტუნარიანობის გარანტი ხდება.

ზოგად მსჯელობას კონკრეტიკა სჯობს. რა გაკეთდა? რა კეთდება? რა გაკეთდება? - ამაზე მოკლედ მოგითხრობთ.

დღეს განათლების რეფორმა გადამწყვეტ ფაზაში გადავიდა. საქართველოს მასშტაბით ინერგება **„ახალი სკოლის მოდელი“,** რომელიც პედაგოგებს მეტ თავისუფლებას ანიჭებს, მოსწავლის განვითრებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს ქმნის, თითოეული მოსწავლის იდეების იდენტიფიცირებასა და მათი პარაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე ზრუნავს. **სოფიკო ჭიაურელის** სახელობის თბილისის 54-ე საჯარო სკოლა მეორე წელია ჩართულია ამ პროექტში, მასწავლებლები წარმატებით ატარებენ გაკვეთილებს **„ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სკოლა აგრძელებს პროექტებით სწავლებას. მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენმა სკოლამ გაიმარჯვა „Microsoft Showcase" -ის მიერ ორგანიზებულ კონკურსში, პედაგოგებს ჩაუტარდათ ტრენინგები და ისინი ჩაერთვნენ „Microsoft Showcase" -ის საერთაშორისო სტატუსის მოსაპოვებლად. ასევე სკოლის პედაგოგიური გუნდი აგრძელებს პროფესიულ განვითარებას: 49 პედაგოგიდან 2 წამყვანია, 10 წარდგენილია წამყვანობაზე, დანარჩენი - უფროსი მასწავლებელი.

2019 წელს სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს **ქეთევან ბერიძეს** მიენიჭა დამსახურებული პედაგოგის წოდება. იგი ერთ-ერთი პირველი მერცხალია დიდი ხნის წინათ გაუქმებული და მიმდინარე სასწავლო წელს აღდგენილი სტატუსის პირობებში. ვულოცავთ!

2018-2019 სასწავლო წლის მონაცემებით, სკოლა დაამთავრა 52 მოსწავლემ, 3 ოქროს მედლით, 100 % გრანტით ჩაირიცხა 5 მოსწავლე, 70 % - 2, 50% - 8.

2019 სასწავლო წელს სკოლამ მიიღო ორი პირველი კლასი. პატარებმა **იაკობ გოგებაშვილის „დედაენით“** დაიწყეს სწავლა.

წელს სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურა წესრიგშია.

სკოლა ჩართულია საერთაშორისო კონფერენციებში. ოქტომბერში ორგანიზება გაუწიეს 2-დღიან ინგლისურენოვან საერთაშორისო **კონფერენციას „სწავლების თანამედროვე მიდგომები“** (modersn teaching approaches in educational system) ლატვიის, ესტონეთის დელეგაციების მონაწილეობით. ჩვენი პროექტებით ღირსეული ინტელექტუალური პატრნიორობა გავუწიეთ მონვეულ სტუმრებს.

სკოლაში დაარსდა ეკოკლუბი **„მწვანე მომავალი“,** რომელიც ახორციელებს გამწვანების, დასუფთავების აქციებს, აწყობს პრეზენტაციებს, სკოლა ჩართულია CENN-ის მიერ ინიცირებულ პროექტში **„ნიკო კეცხოველი.“**

მოსწავლეები ეუფლებიან პროგრამირებას სხვადასხვა პროექტის

ფარგლებში IBSU-ს, ასევე ჩართული არიან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროექტში ეკოლიდერთა სკოლა.

პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისთვის მე-12 კლასის მოსწავლეები ჩართულები არიან გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროგრამაში **„აირჩიე პროფესია“.**

საინტერესოდ ტარდება სპორტული შიდასასკოლო და სკოლათაშორისი ტურნირები ფეხბურთში, ფრენბურთში (გოგონების გუნდი), ბადმინტონში თანამშრომლობენ რაგბის ფედერაციასთან.

სკოლა ყოველდღიური საქმიანობით ამბობს თავის სათქმელს. ეს არის სწავლა-სწავლების პროცესი დღევანდელი მოთხოვნილების დონეზე, ურთიერთობა მშობლებთან და ზრუნვა მოსწავლეთა განვითარებაზე მაღალ ნიშნულზეა. ყოველივე ეს სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს.

კიდევ ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ზემოთქმულიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, რომ 54-ე საჯარო სკოლაში ევროპული სტანდარტები ეროვნულ რელსებზე დგას.

ბორის მიშველაძე,
დამსახურებული პედაგოგი

რედაქტორის მინაწერი: მივესალმებით მთავრობის დადგენილებას პედაგოგის ავტორიტეტ-მოტივაციის ამაღლების მიზნით **„დამსახურებული მასწავლებლის“** წოდების მინიჭების წესის აღდგენის შესახებ.

აგრეთვე მაქვს ინფორმაცია, რომ პრიორიტეტულ საგნებში გამოცდები ისევ უნდა დაბრუნდეს. სამწუხაროდ, ზოგიერთი ექსპერტი განათლებისა მოგვიწოდებდა, ორიენტირებული უნდა ვიყოთ სწავლების მაღალ ხარისხზე, კონკურენტუნარიან განათლებაზე და იქვე ავითარებდა აზრს, თითქოს გამოცდები, სხვა მოთხოვნების წაყენება ზღუდავს მოსწავლის თავისუფლებას. მას თავისუფალი არჩევანის უფლება უნდა მივცეთო. სწავლა უპირატესად თამაში და გართობა უნდა იყოსო. დავიწყებულია აქსიომა: სწავლა-მეცადინეობა სერიოზული შრომაა, ცოდნის შეძენა **„სწავლის მძებნელისაგან“** ძალისხმევას, ნებისყოფას მოითხოვს**. „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“,** - გვასწავლის **რუსთაველი. „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდებისო!“** - ასეთია **გურამიშვილის** შეგონება.

სიტყვამ მოიტანა და... მახსოვს გასულ საუკუნეში **რევაზ ნათაძის** სასკოლო სახელმძღვანელოთი ისწავლებოდა საგანი **ფსიქოლოგია,** ხოლო ლოგიკა - **კოტე ბაქრაძის** შედგენილი წიგნით. ფსიქოლოგიის პედაგოგები ასევე ეფექტიანად იყენებდნენ პედაგოგიური ფსიქოლოგიის გამოჩენილი მკვლევარის, პროფესორ **შალვა ჩხარტიშვილის** მეთოდიკურ წიგნს **„ნებისყოფის აღზრდა“.** ამით რისი თქმაც მსურს, გასაგებია.

მოვიდა დიადი დღესასწაულები: დედის დღე, 8 მარტი, გაზაფხული.

გილოცავთ ყოველივე ამას, 54-ე სკოლელებო!

პირველად საქართველოში – წლის საუკეთესო დირექტორი

198-ე სკოლიდან პირველი მერცხალი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად — ეს არის მიდგომა, რომლითაც ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების შესაძლებლობა. ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოში ხელს უწყობს ამ ბავშვების საზოგადოებაში წარმატებით ინტეგრაციას, სასწავლო პროგრამა კი აგებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მიდგომაზე.

თბილისის **198-ე** საჯარო სკოლაში (დირექტორი – **თეონა ყაჭეიშვილი**) შექმნილი სასწავლო გარემო სრულად ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა მოთხოვნებს. ეს არის პირველი ცენტრი, რომლის მისიაა ამ სკოლის **200-მდე** სსსმ მოსწავლეს მისცეს საზოგადოებაში ინკლუზიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. სკოლა ჩართულია საპილოტო პროგრამებში, ინოვაციურ აქტივობებში, როგორც სკოლის შიგნით, ასევე, სკოლის გარეთ. პედაგოგიური კოლექტივი და მთელი გუნდი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. **რესურს-სკოლის** დანიშნულებაა გაუზიაროს სხვა სკოლებს წარმატებული ქეისები, ინოვაციური მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიური განათლების განვითარებას. მოსწავლეთა საჭიროებების



გათვალისწინებით, სკოლაში დანერგილია დამატებითი მომსახურება — ენის და მეტყველების თერაპია, არტ-თერაპია, მუსთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, სპეც. პედაგოგის მომსახურება, შრომა-თერაპია და სხვა; სკოლა მუშაობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა; მოსწავლეებს ადაპტირებულ სასადილოში აქვთ ორჯერადი კვება — სადილი და ლანჩი; ემსახურებათ ტრანსპორტი.

სკოლის დირექტორი **თეონა ყაჭეიშვილი** პროფესიით ეკონომისტია, ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი, ამჟამად სოხუმის უნივერსიტეტის დოქტურანტურის დამამთავრებელ კურსზე სწავლობს. განათლების სისტემაში 2005 წლიდან მუშაობს, 2007 წლიდან კი სკოლის დირექტორია.

პირველად საქართველოში **„წლის საუკეთესო დირექტორის“** დაჯილდოვების ცერემონიალი გაიმართა. სკოლის განვითარების, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვის, ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფისა და რესურსების ეფექტიანი მართვისთვის, კონკურსის გამარჯვებულს – 198-ე საჯარო სკოლის დირექტორს, გადაეცა ფულადი პრიზი და სასწავლო ვიზიტით ციურიხში, ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN) გამგზავრება.

თეონა ყაჭეიშვილი: „ჩემთვის დიდი პატივი იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა და ათმაგად საამაყო **„2019 წლის საუკეთესო დირექტორის“** სტატუსის მინიჭება. ეს ჯილდო მარტო მე არ მეკუთვნის, ის ჩვენი სასკოლო საზოგადოების დამსახურებაა! სტატუსი ძალიან სასიამოვნო, მამოტივირებელია და ასევე, განსაკუთრებულ ვალდებულებებსაც ითხოვს – უფრო მეტი შედეგი დადო, უფრო გლობალურად იაზროვნო, უფრო განვითარდე... სასიხარულოა, ისიც, რომ განვითარების შანსს თვითონ კონკურსის პრიზიც იძლევა – ეს არის ციურიხში ბირთვულ ლაბორატორიაში ვიზიტი და სკოლისთვის ადაპტირებული **სონღულაშვილის** ავტორობით საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გადმოცემა...“ სკოლა აღიჭურვება ფიზიკის ვირტუალური ლაბორატორიით და მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ ცდები სპეციალური კომპიუტერული მულტიმედიური პროგრამის საშუალებით ჩაატარონ.

სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობა და თანაბარი შესაძლებლობები ყველა ბავშვისთვის. დღეისათვის კვლავ რჩება ძირითად პრიორიტეტულ ამოცანად ჩვენი მოსწავლეებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებული მაღალი ხარისხის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა, რისთვისაც იგეგმება როგორც სასწავლო პროგრამების და მეთოდოლოგიების სრულყოფა თანამედროვე მიდგომების და ტექნოლოგიების გამოყენებით, ასევე სასწავლო გარემოს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

„დღეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა (სსსმ) სწავლა-სწავლება განათლების სისტემის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ვისურვებდი, რომ მოვალშიც ჩემი გამოცდილება და უნარები ისევ ინკლუზიური განათლების სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობას მოვახმარო“ – ასეთია წლის საუკეთესო დირექტორის ხედვა.

ნათია გურგენიძე

190-ე სკოლა ევროელსებზე

მიღწეულით არ კმაყოფილდებიან

თბილისის 190-ე საჯარო სკოლა, რომელმაც 1988 წლიდან არაერთი წარმატებული მოსწავლე აღზარდა, კვლავაც განაგრძობს განვითარებას. დირექტორი **სარდიონ შაფათავა** კიდევ უამრავ სიახლეს გეგმავს. უპირველეს ყოვლისა, ცვლილება დაეტყო სკოლის ინფრასტრუქტურას: მოიხატა შესასვლელი, სკოლის ოთხივე სართული მოირთო სხვადასხვა სახის ქოთნის მცენარეებით, მეორე სართულზე (რომელიც უმცროსკლასელებს ეკუთვნის) დაიდგა აკვარიუმები, შეიცვალა შიდა განათება, განახლდა გათბობის სისტემა. სიახლე დაეტყო სკოლის გარე პერიმეტრსაც: აღდგა სკვერი, ატრაქციონები. მოსწავლეებისა და მასწავლებლების მეტი კომფორტისათვის, ზაფხულში, ჩატარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. სექტემბერში იგეგმება საცურაო აუზის გახსნა, რომელიც მნიშვნელოვანი სიახლე იქნება არამარტო მოსწავლეებისათვის, არამედ მთლიანად დასახლებისათვის.

სასწავლო პროცესს ხელმძღვანელობს **ქეთევან ტოგონიძე**. დიდი ყურადღება ექცევა სწავლის დონის ამაღლებას: ყველა მასწავლებელი სერთიფიცირებულია. სკოლაში ამჟამად ორი წამყვანი პედაგოგია, ამ სტატუსს სექტემბერში კიდევ ხუთი მიიღებს.

სკოლას გასულ წელს ოთხი ოქროსმედალოსანი ჰყავდა: **მარიამ ოქროპირიძე, თამარ ხინთიბიძე, სალომე ზაუტაშვილი** და **ანი სიხუაშვილი,** აგრეთვე ვერცხლისმედალოსანი - **მარიამ არჩვაძე**. მათ წარმატებით გააგრძელეს სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში. მასწავლებლები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და სხვადასხვა მეთოდებით ზრუნავენ შეაყვარონ მოსწავლეებს ლიტერატურა, პოეზია, ხელოვნება და სხვა საგნები. ამას ხელს უწყობს სკოლის მდიდარი ბიბლიოთეკაც, რომელსაც ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი **ლალი კუჭავა.**

2019 წელს სკოლამ სამოცდათხუთმეტი პირველკლასელი მიიღო, რომელთაც საჩუქრად იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ გადაეცათ. გახსნილია სამი პირველი კლასი, მომავალ წელს იგეგმება კიდევ ორის დამატება.

სკოლა მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობაში ჩართვის საშუალებას აძლევს. ფუნქციონირებს: კარატეს, ძიუდოს, ქართული ხალხური სიმღერებისა და საკრავების, თეატრალური, ფერწერისა და ქართული ცეკვების ფასიანი წრეები. იგეგმება რაგბისა და ჭადრაკის წრის გახსნაც. მოსწავლეებს უტარდებათ უფასო მომსახურება საგნობრივი წრეების სახით. სკოლაში მუშაობს გახანგრძლივებული კლასი, რომელიც უზრუნველყოფილია უფასო კვებით. ხშირად იმართება პროექტების პრეზენტაცია და ღონისძიებები სხვადასხვა თემაზე.

სკოლა ყოველ წელს აქტიურად ერთვება ოლიმპიადებსა და სპორტულ ტურნირებში, რომლებშიც უმრავლეს შემთხვევაში წარმატებას აღწევს. 2020 წელს საგნობრივ ოლიმპიადაში **„ვუნდერკინდი“** გაიმარჯვეს: **თინათინ მარცვალაძემ, ანამარია კაპანაძემ** და **ზურაბ ჩალაძემ.**

აპრილში დაგეგმილია შეხვედრა საბავშვო ბაღის ბავშვებთან, გაიმართება ღია კარის დღე.

190-ე სკოლა კვლავაც პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და ინარჩუნებს კონკურენტუნარიანობას.

ნიკა პაპიაშვილი



თამუნა, შენ უკვდავების ხარ ბინადარი

გაუსაძლისი ყოფის ჟამს ფიქრები სიტყვად იქცეს

ქართველებს მაგიური სიტყვა გვაქვს სანუგეშებლად, ,, გარდაიცვალა“, და მარადიული სიცოცხლის ჟამიც დადგა. ვინც გარდაიცვალა, ვისმა სიცოცხლემაც სახე იცვალა, ვინც ხორცით განეშორა საწუთროს, სულით კი სამარადისოდ დარჩა ჩვენ შორის.

და ასე იწყება **თამუნა კალანდიას** ახალი და დაუსრულებელი სიცოცხლე, სიცოცხლე მარადიული ხსოვნისა.

ასე იწყება ჩემი თამუნას სიცოცხლე დედა - გაზაფხულის დასაწყისთან ერთად.

სადა, მოკრძალებული, ყოველგვარი პომპეზურობისაგან თავისუფალი საფლავის წინ ვდგავარ,- საფლავის მიღმა კი მოგონებათა ხსოვნაში ცოცხლდება ისტორიადქცეული, ფასდაუდებელი ჩვენი მეგობრობა, ახალი ძალით მავსებს და ცრემლშეუშრობელ სიტყვებად იძერწება თეთრ ფურცელზე.

მახსენდება თამუნას ბოლო დღე სკოლაში, სამუშაო მაგიდაზე გადაშლილი წერილი:

***

„თინიკო, ძალიან მინდა მოგეფერო, მოგესიყვარულო. ამის პირდაპირ თქმას ვერ ვახერხებ და ამიტომ გწერ, ჩემო ძვირფასო ადამიანო.

საინტერესო, არისტოკრატიული მანერები, ძლიერი შინაგანად, უგანათლებულესი, ერთგული, სამშობლოს მოსიყვარულე, ილიას იდეების და ქრისტიანული ღირებულებების მატარებელი, მისაბაძი ადამიანი, ოჯახზე მზრუნველი, სხვისი შვილების დამკვალიანებელი, პირდაპირ მთქმელი, ძალიან საყვარელი... კიდევ რამდენი ეპითეტით მინდა შეგამკო, ჩემო თინიკო, მაგრამ... ვიცი, ჩემს გულწრფელობაში ეჭვი არ გეპარება.

შენი თამუნა“

6.06.2019 წ.

ასე დასრულდა პედაგოგიური ცხოვრების ბოლო დღე თამუნასთვის სკოლა „ივერონში“.

წერილი შეუცვლელად მოვიტანე. ჩვენს ზღვარდაუდებელ მეგობრობას, ნათესაურ კავშირზე აღმატებული სიწმინდის მადლი ადგა ყოველთვის. ჩვენი ყოველდღიურობა მეგობრულ სამოსელში იწვრთნებოდა. ამგვარი გრძნობა დღეს ნამდვილად გვჭირდება გათითოკაცებული გულების გასათბობად.

ეს დღე ჩემთვის ჭეშმარიტად გულწრფელი გახსენების დღეა ჩემი თამუნასი (ნამდვილად არ მაქვს არანაირი ამბიცია, ლიტერატურულ გვერდად იქცეს).

მასწავლებლობა ერთობ „მზიან - ჩრდილიანი“, ჩვენს პიროებებში უფრო ეკლიანი გზაა! თუ აირჩევ ღირსებით უნდა ატარო კიდეც, ალბათ, ისევ და ისევ ბავშვების გულწრფელი სიყვარულით, თუნდაც ერთი მადლიერი გრძნობის გამოც კი, - ხშირად ამბობდა საუბრისას თამუნა. სწორედ ეს გრძნობა - განწყობა ვიგრძენი სკოლა „ივერონის“ მეთერთმეტე კლასელებთან ერთად თამუნა მასწავლებლის ისტორიად ქცეული ისტორიის გაკვეთილების გახსენებისას.

ძნელია ჩემი თამუნას მრავალ ღირსებათა შორის რომელიმეს გამორჩევა: დედა იყო და - ლამაზად შვილების გამზრდელი, მეუღლე იყო და - შუდარებელი, მასწავლებელი იყო და - გამორჩეული, მეგობარი კი - უფლის საჩუქარი პირადად ჩემთვის. და ასე დარჩები ჩემს ხსოვნაში.

დიდებული წარსულით გამოგეთხოვე... მომავლიც შენია უკვდავების წილად!

მათბობდი მზის სხივივით, სამარადჟამოდ დამიტოვე ცივი ზამთარი.

შენი მრავალმხრივი სიკეთის თანაზიარი, თინა ჩხეიძე

155-ე ბაგა-ბაღის სიახლეები

პატარების კომფორტი მნიშვნელოვანია

155-ე საბავშვო ბაგა-ბაღი პატარებისთვის ის საოცარი და ჯადოსნური სამყაროა, სადაც ყოველი დილა შინაარსიანად იწყება. ბავშვები საიმედო გარემოში იზრდებიან და მშობლებიც უსაზღვროდ კმაყოფლები არიან. ბაგა-ბაღი შენობის სარემონტო სამუშაობის გამო, დროებით ბარნოვის ქუჩაზე განთავსდა. თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცლაძისა** და დირექტორ **მარინე შალამბერიძის** დიდი ძალისხმევით, ინფრასტრუტურა მოწესრიგდა და საბავშვო ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით, ტექნიკური საშუალებებით, ლიტერატურით და ხარისხიანი სათამაშოებით. ზედმიწევნით დაცულია ჰიგიენის ნორმები. გარემონტებულია სველი წერტილები და სამზარეულო. ბაღი უსაფრთხოა და კარგად იცავენ ბავშვთა უფლებებსა და საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს. კვება კი, დაბალანსებული და შესანიშნავია, სადაც დაცულია კალორიების თანაფარდობა.

155-ე ბაგა-ბაღს, უკვე ოთხი წელია წარმატებით ხელმძღვანელობს **მარინე შალამბერიძე**. იგი, უკვე მრავალი წელია მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. პროფესიით პედაგოგია და მოწოდებითაც მასწავლებელი.

მისი თაოსნობით საბავშვო ბაღი დაკომპლექტდა ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური კადრებით და სანიმუშო აღმზრდელებით. თანამშრომლებს მეგობრული დამოკიდებულება აქვთ და ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს. დირექტორის ინიციატივით, ბაღში დაინიშნა პროფესიონალი ლოგოპედი, ფსიქოლოგი და სპეც. პედაგოგი. მეთოდისტი მაღალკვალიფიციური კადრია და მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად სააღმზრდელო პროცესს შესანიშნავად უძღვება.

არის სიახლეები და სწავლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს. **„სასკოლო მზაობის“** პროგრამას პატარები წარმატებით ეუფლებიან და კარგად ფლობენ სასკოლო უნარ-ჩვევებს. პატარები დიდი მონდომებით არიან ჩართულნი ყველა აქტივობებში. ტარდება პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებები: საშემოდგომო, საახალწლო, საგაზაფხულო და გამოსაშვები. „სასკოლო მზაობის“ ჯგუფის ინიციატივით ჩატარდა **„წიგნის კითხვის დღე“**, სადაც მოწვეული იყო საბავშვო მწერალი **გივი ჩიღვინაძე**. ამჟამად პატარები **„დედის დღისადმი“** მიძღვნილი ღონისძიების ჩასატარებლად ემზადებიან და დედებისთვის საჩუქრად, ხელნაკეთ ნივთებს ამზადებენ.

პროფესიონალი აღმზრდელების თავდაუზოგავი შრომის შედეგია ის, რომ მრავალმხრივად განვითარებულ პატარებს ზრდიან და პირველ რიგში, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულს ასწავლიან. პედკოლექტივი კმაყოფილია დირექტორის საქმიანობით და მას ახასიათებენ როგორც სამართლიან, პრინციპულ და პასუხისმგებლობის მქონე ხელმძღვანელად.

დირექტორი ამაყობს ბაღის თანამშრომლებით და მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელების და მთელი კოლექტივის თავდადებულ შრომას. ასევე, კმაყოფილებას გამოთქვამს დედაქალაქის მერიის და ბაგა-ბაღების სააგენტოს მხარში დგომით და ხელშეწყობით, რომლებიც ბაღის შენობას სრულ რეაბილიტაციას უტარებენ და სექტემბერში გრანდიოზულად გახსნისთვის ემზადებიან.

მზია გოგოძე

ვერო ვერულაშვილი - ერთი ნოველა

წინა ნომერში ავტორთან ვალში დავრჩით. მისი ლექსები დავბეჭდეთ, მაგრამ ტექნიკური მიზეზით ეს ნოველა „თამაშგარე“ მდგომარეობაში დარჩა. ვისტუმრებთ „ვალს“, ამასთან ერთად მოგვიანებით ვულოცავთ დაბადების დღეს, რომლის შესახებაც ჩიტმა ამბავი მოგვიტანა, თარილის მიუთითებლად.

ტირილი..

- **ძნელია** სოფლის ცხოვრება, ჩემო ქეთინო,, დასვენება მოგენატრება ადამიანს.

- ნუ წუხხარ თამარ, ოთხი შვილი გეზრდება, ცოტაც გაუძელი, მერე ყველანი რომ ამოგიდგებიან გვერდით რაღა გიჭირს.

- სოკოზე მინდა წასვლა ტყეში, მარტო ნუ გამიშვებ, - მიუბრუნდა თამარი ქეთინოს.

- სხვა საქმე მქონდა მაგრამ არ დავეძებ.

ადგნენ ორივენი და გაუყვნენ გზას ტყისაკენ. თან თბილად საუბრობდნენ, არც ისე ცოტა ხანია რაც სოფლის რძლები გახდნენ, რომ იტყვიან, წლებია ერთად მოდიან. და სალაპარაკოც არასდროს ელევათ.

- ქეთინო ერთი შვილის ამარა გინდა დარჩე?

- რა ვიცი, ჩემო თამარ, ღმერთის ნებაა ყველაფერი, რაღა დროსია,, ანა 12 წლისაა უკვე.

ამ საუბარით იყვნენ გართულნი, უეცრად ბავშვის ტირილი შემოესმათ, მიმოიხედეს მაგრამ ახლო მახლო ვერაფერი დაინახეს,

- საიდან მოდის ხმა, თამრიკო, ბავშვის ხმაა ნამდვილად,

- რა უნდა ამ შუა ტყეში ბავშვს?

- არა, არა, გეუბნები ბავშვის ხმა გავიგონე.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგეს ხმა ისევ განმეორდა, ახლა უკვე საგრძნობლად, ქეთინომ დაიყვირა, მიიხედა თამარმა, და დაინახა ხის ტოტზე პატარა დაწნული კალათა ეკიდა, მივარდა ქეთინო და ჩამოხსნა. ქალებმა თვალებს არ დაუჯერეს, შიგნით ახალშობილი იყო. ულამაზესი ბიჭი, თბილ პლედში გახვეული, და გვერდით წერილი ედო. თამარმა წერილი აიღო, ხელის კანკალით გახსნა და კითხვა დაიწყო.. „ბიჭს იოანე ჰქვია, 10 ოქტომბერს დაიბადა, ერთი კვირისაა, ვინც იპოვით, იცოდეთ, რომ მე მისი დატოვება არ მინდოდა, უბრალოდ სხვა გზა და გამოსავალი არ მქონდა!“ ქალს ცრემლებით აევსო თვალები, და ქეთევანს მიუბრუნდა!

- ერთი შვილის მეტი არ გყავს და ეს ბავშვი ღმერთმა გამოგიგზავნა, წაიყვანე!

- უი, რას ამბობ? ეს რომ სახლში მივიყვანო, ჩემი ქმარი გამომაგდებს სახლიდან... - ცივად მიუგო ქეთევანმა.

გოგო, რას ამბობ ანგელოზია!..

- ვერა, ვერ წავიყვან, - მოჭრილად უთხრა ქეთევანმა.

რა ექნა თამარს, ოთხი შვილი ჰყავდა, მაგრამ პატარა დასატოვებლად არ ემეტებოდა, მოჰკიდა კალათს ხელი და შინისაკენ გასწია. ახლა უკვე 5 შვილის დედა იყო! სოფელს სალაპარაკო თემაც გაუჩნდა, „უი, ნეტავი, მაგას რა თავი ტკიოდა, რავა მისი კირკლები არ ეყოფოდაო?“

თამარს ესმოდა ეს ყოველივე, მაგრამ წყენას ცრემლებთან ერთად ყლაპავდა. გავიდა წლები და ბავშვები გაიზარდნენ.

მათე უფროსი შვილია და უკვე 24 წლისაა... ზრდილობიანი და კეთილშობილი ბიჭია. ბავშვობიდანვე უნდოდა ცხოვრება უფლისათვის მიეძღვნა, და ასეც მოიქცა, რამოდენიმე დღის წინ მონასტერში წავიდა... უძნელდებოდა ოჯახს მასთან განშორება, მაგრამ რა ექნათ, დალოცეს მშობლებმა და წავიდა გულდამშვიდებული.

თომა 22 წლისაა და სამშობლოს დასაცავად ავღანეთში იბრძვის.

მართა 20 წლისაა და ეკონომიურზე სწავლობს.

გაბრიელი 18 წლისაა და მხატვრობითაა გატაცებული.

- დავით, როგორ გაირბინა წლებმა, ჩვენი შვილები დიდები არიან უკვე, ყველამ თავისი გზა მონახა, მერე იოანეც გაიზრდება. ისიც იპოვის თავის გზას და დავრჩებით მარტო...

- რა გატირებს ქალო? აბა, სულ პატარები ხო არ იქნებიან? - სევდანარევი ღიმილით უთხრა დავითმა, - ხვალ იოანე 15 ხდება. ენაცვალოს მამა!

გავიდა სამი წელი და იოანემ სკოლა დაამთავრა, შესანიშნავი მოსწავლე იყო ამაყობდა სკოლა მისით... ოცნებაც მალე აიხდინა და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, უფასოზე მოეწყო. ამ ამბავს ზეიმობდა ოჯახი, როცა საშინელი ტრაგედიის შესახებ შეიტყვეს: თომა ავღანეთში დაღუპულა... თითქოს, ცა ჩამოიქცაო, სიბნელემ მოიცვა ირგვლივ ყოველივე. ძველი ხალისი და სიმშვიდე თითქოს მიწამ ჩაიტანა თომას სხეულთან ერთად...

ამ საშინელი ტრაგედიიდან ორი წელი არ იყო გასული, მართა უცხოელს გაჰყვა ცოლად და საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდა... ძალიან ძნელი იყო თამარისათვის მესამე შვილთან განშორება. თვალებზე ცრემლი არ შეშრობია, ორი წელია უკვე... გაბრიელსაც დიდი გეგმები აქვს, მხატვრობასთან დაკავშირებით უნდა უცხოეთში დაიმკვიდროს თავი... არც გასულა დიდი დრო დასთან წავიდა ამერიკაში..

დარჩა იოანე მშობლების იმედად... მეექვსე წელია უკვე სამედიცინოზე სწავლობს. იმ წელს მოეწყო, როცა მისი ძმა ჩამოასვენეს ავღანეთიდან. რომ არა ეს საშინელი ტრაგედია სხვანაირი სტუდენტობა ექნებოდა. არცერთხელ არ მიუკითხავს დედ მამას, დამოუკიდებლად გადიოდა იმ გზას რასაც სტუდენტობის ხანა ჰქვია. მაინც როგორ მალე გაირბინა წლებმა.

იოანე უკვე ქირურგია. დადგა დღე, როცა პირველად უნდა გააკეთოს ოპერაცია...

- დავით, რაღაც ვერ ხარ შენ კარგად.

-კარგად როგორ ვიქნები, ჩვენი შვილების შემყურე. რას ვიფიქრებდი თუ სიბერეში ძაღლივით მარტო დავრჩებოდი.

- რაღაც გაწუხებს შენ და არ მეუბნები, - არ მოეშვა თამარი ქმარს.

ღამის 12 საათი იქნებოდა, დავითი ძალიან ცუდად გახდა, და უგონო მდგომარეობაში რეანიმობილით დედაქალაქის ერთ ერთ კლინიკაში გადაიყვანეს.

გაეცნო ექიმი მდგომარეობას და სასწრაფო ოპერაცია დაინიშნა.

- 8 მლ მეტრიანი ჩაქცევაა თავში. მოამზადეთ პაციენტი საოპერაციოთ! ახალს დაუძახე ექთანო..

- ვის ბერაძეს?

- დიახ, ბერაძეს...

გაიღო კარი და პირბადით, თეთრ ხალათში ჩაცმული, შემოვიდა ახალგაზრდა ექიმი... დიახ ეს იოანე იყო, რომელსაც ბედმა მამის სიცოცხლე არგუნა გადასარჩენად. დახედა პაციენტს და ელდა ეცა, აუკანკალდა ხელი... სახეზე ოფლმა დაასხა, მაგრამ ეცადა თავი ხელში აეყვანა, რათა არ შეემჩნიათ მისი გასაჭირი.

სამ საათს მიმდინარეობდა ოპერაცია, თამარი საავადმყოფოს თეთრ კოლიდორში შავი კაბით, ხან ერთ თავში იდგა, ხან - მეორეში.

გამოვიდა ექთანი და თამარს ეუბნება.

- დასრულდა თქვენი მეუღლის ოპერაცია. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ახალი ექიმის წყალობით...

მეორე დღეს დავითი გონს მოვიდა.. ერთი კვირის შემდეგ საავადმყოფოდან უნდა გამოწერონ.

- ნეტავ, როგორ იქნება ჩვენი საქმე? დააფინანსებს სახელმწიფო ამ ოპერაციას?

ამ დროს ექთანი შემოდის,

- შვილო, რამდენი გვაქვს გადასახდელი თანხა? - ეკითხება თამარი,

- ქალბატონო, ექიმმა ოპერაცია ჩაატარა და თანხაც სრულად დაფარა.

- რას ამბობთ, მაჩვენეთ ის ექიმი ხელები მინდა რომ დავუკოცნო!

- ის აქ არის. ქალბატონო.

კარი გაიღო და შემოვიდა ახალგაზრდა ექიმი, რომელსაც მრავლისმთქმელი თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. ტიროდა მაგრამ ამჯერად ჩუმად.

ვერო ვერულაშვილი

პედაგოგი – დიდებული და პოეტი – ჩინებული

ლიტერატურული გვერდი

მზრდელი ყრმათა რუსთველური სინატიფით

ციალ ბორცვაძე

ერთ მწერალს, რომელიც დღეს მოდაში არ არის, ეკუთვნის ბრწყინვალე სიბრძნე: „ვადიდოთ ქალი, დედა, ვისი მკერდითაც გამოზრდილია კაცობრიობა“. ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ სულ მალე გვეწვევა სანეტარო დღესასწაულები: დედის დღე, 8 მარტი, გაზაფხულია.

ქართულის კარგ მასწავლებელს რაღა სჯობს, მაგრამ თუ იგი პოეტიც არის, ორმაგად უკეთესია. ასეთი გახლავთ დამსახურებული პედაგოგი ცია ბორცვაძე. მართალია, შარშან დიდი სიყვარულით გააცილეს თბილისის 140-ე სკოლიდან, მაგრამ კვლავინდებურად რჩება: „იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა.“

რა დაავიწყებთ მის ნამოწაფრებს ბრწყინვალე გაკვეთილებთან ერთად დიდებულ კლასგარეშე ღონისძიებებს, ემოციებით დამუხტულ მხატვრულ-ლიტერატურულ მონტაჟებს მუსიკალური თანხლებით, საკუთარი პოეტური ქმნილებების ჩართვით, რომლებიც „ზრდიდნენ ყრმათა „მამულის, ენის, სარწმუნოების“ სიყვარულით, რუსთველური სინატიფით.“ ყოველი მისი ლექსიდან მზის სხივებად იფრქვევა პატრიოტიზმის, იაკობის დედაენის სიყვარულის განცდა.

ამ ზნეკეთილ პიროვნებას აქვს ერთი „ნაკლი“ – ზედმეტად მოკრძალებულია. იოსებ ნონეშვილი ხშირად იტყოდა: თუ დარწმუნებული ხარ, კარგი ლექსი დაწერე, რედაქციის კარები ფეხით უნდა შეაღოო. კონია გამსახურდია კი წერდა: „იყავ თამამი, იყავი თამამი, ნუ იქნები თავხედი!“ ცია ბორცვაძის მოღვაწეობაზე საჭიროა, ვრცელი სტატია დაიწეროს. ამჯერად, ჩემს კოლეგას ვურჩევდი, საკუთარი ლექსების წიგნად აკინძვაზე იფიქროს და იზრუნოს. ახლა კი ჭაშნიკად მისი ოთხი ლექსი დავაგემოვნოთ.

რედაქტორი

ჩემს მეგობარს

(ზეინაბ ჭიჭიკოშვილს)

განათდება! მთვარემ შუბლი ამოჰყო,
ვარდისფერი სახლი დავდგათ სამყვრო,
თორემ გრძნობა გაფერმკრთალდა, გაფითრდა,
უმეგობროდ მე ამ ქვეყნად რა მინდა?!
ზამთარია! გავუმკლავდეთ სიცივეს,
გაზაფხულზე ჩამოდნება, იწვიმებს,
აპრილის თვე შემოაფრქვევს სურნელებს,
უკვდავების სჯერათ მხოლოდ სულელებს.
ზურგს ნუ ვაქცევთ წუთისოფლის სიამეს,
შევებრძოლოთ სიბერეს და სიავეს,
თორემ წლებმა წამში ჩაიშრიალა,
ხვალ იქნება ყველაფერი გვიანა.
გულთამპყრობმა სამოსახლო გამოჰყო,
ვარდისფერი სახლი დავდგათ სამყვრო,
თორემ გრძნობა სიმარტოვით გაფითრდა,
უმეგობროდ მე სიცოცხლეც არ მინდა!

ცრემლიანი გუნდა

განგაშია, მეგობარო, გულში,
სიბერის ზვავს შეჩერება უნდა,
გაიხსენე, გაიხსენე, მაშინ
მთაწმინდაზე ვგუნდაობდით მუდამ.

ჩემს გულის სწორს ველარ ვხვდები გზაზე,
მისი ხილვა, ოი, როგორ მსურდა!
აღარავინ გამომიხმო კარზე,
ვის ვესროლო ცრემლიანი გუნდა?

საალდგომო

(მეულლის – დავით ფერაძის ხსოვნას)

თუ დამიძახებ, მოვეშურები
ალუჩისფერი სამკაულებით,
შენ დამახვედრე, ჩემო ძვირფასო,
ჩემთვის ასხმული მარჯნის მძივები.

იის კონებიც არ დაივიწყო,
გუშინ მალულად რომ შეაგროვე,
არ დაიჯერო, ვინმემ თუ გითხრას,
ამ სილამაზეს გამოვეთხოვე.

აპრილის დილა თავისკენ მიხმობს,
ეს ახირება არაა ჩემი,
იასამნის და იის მეხოტბე
გაზაფხულს ვერამ ვერ შეველევი.

თუ მოგენატრე, არ დამიღონდე,
იქნებ ცოტა ხნით შევიგვიანო,
ვარდისფერ დილას ვერ შეველიე,
ჩემი სულის და გულის ზიარო!

ლექსით ვდიდგულობ

სტვირი ვარ ლერწმის ღერისა,
ლექსი რომ ავამღერო,
ერთი კეთილი ქალი ვარ,
არას დამაკლებ, მტერო!

წვიმის პაწია წვეთი ვარ,
რიტმებმა მომცეს ძალა,
ჩემთვის რომ დავიღიღინო,
შენ რას დაგაკლებ ქალავ!

„ლექსი ნიჭია, მადლია!“ –
ილიამ ასე ბრძანა,
ის მოგვიშუშებს იარებს,
რა არის ამისთანა?

და თუ ბრძენკაცის არ გჯერა,
მე როგორ დაგაჯერო?
ერთი უბრალო ქალი ვარ,
ლექსით ვდიდგულობ, მტერო!

გაზაფხული გვპირდება ზღვა სიხარულს

ლეილა ვადაჭკორია

გაზაფხული *ახალ წელზე არანაკლებ მახარებს და მეიმედებაო, – გაგვიზიარა აღტაცება პოპულარულმა პოეტმა* **ლეილა ვადაჭკორიამ.** *ვინ არ დაეთანხმება? ხომ ვიცით, გენიოსი რას წერდა: ბუნება ჩვენშია, ჩვენ ბუნებაში ვართო. მისი წყალობით პოეზიის მადლი მფენია მარჯვენაზედაო. ბუნების ნაწილი ქალი, დედა — სიხარულის, სიყვარულის, სიცოცხლის დიდი საწყისია.* **ლეილა ვადაჭკორიას** *თავისი სამრეკლო აქვს, პოეზიის სამრეკლო, საიდანაც ბუნების მეჯლისს გვილოცავს. პოეტის მილოცვას კი სულ სხვა ხიბლი ახლავს.*

***

გაზაფხულის დილა

რა საამოდ ჟღურტულებენ
გულყვითელა ჩიტები,
შაშვის გალობას თუ უსმენ,
სულიერად მშვიდდები.

როგორ გალაღებულან,
გაუმართავთ ირაო,
მხიარული და ზღაპრული
გაგვითენდა დილაო.

ლამის გადაიფრინონ
ჩიტუნებმა ცის იქით...
ყვავმა ყვავს რომ დასცინა
დაიხოცნენ სიცილით.

გახსენი გული

გამომზეურდი. გაზაფხულის
დატკბი სურნელითი,
ნახე ნიბლია აფრენილა
დილით ბანიდან.

გახსენი გული, გაერიე
შენც მარაქაში,
თორემ ხომ ხედავ,
ეს ზამთარიც
უმალ გავიდა.

ირწმუნე თავის და სიკეთეს
გაუდგი ფესვი,
დაარწყულე და გაამაგრე
ნერგი მარგილით.

სიავე გულში არ გაივლო,
თორემ სამყარო,
იცოდე უკან დაგიბრუნებს
ბუმერანგივით.

ცნობისმოყვარე

ბები, ბები, ეს რა არის?
ეს რას ნიშნავს, ბებიკო?
აბა, ასე რად უთხარი
ლიზიკოს და რეზიკოს.

მე ხომ შენი სიცოცხლე ვარ
შენი გულის ვარდი ვარ,
ბები, მთვარე რა შორსაა-
კიბითაც ვერ ავდივართ.

ცოტა იქნებ დამასვენო,
გენაცვალოს ბებია,
უცნაური კითხვებია
ცუდად გადამდებია.

ამდენ კითხვას ბებიკუნა
ერთად ნუ კი დამაყრი,
ყველა კითხვას ვუპასუხებ
ცოტას თუ კი დამაცდი.

ლიტერატურული მოზაიკა

„ქალობა დაიმკვეხაროს, ცამ და ქვეყანამ ნახოს“

ნაირა ნიჟარაძე

***სათაურად** გამოტანილი ციტატა* **მანანა ასათიანს** *ძვირფასმა მამამ უძღვნა.* **ნაირა ნიჟარაძესაც** *თამამად მიესადაგება ლადოს ეს ფრაზა. მით უფრო – ნაირაც ქუთაისის პედინსტიტუტის იმ ცნობილ 33-ე აუდიტორიაში ისმენდა ლექციას, სადაც* **„ლადოს მერხი“** *იდგა.*

ბევრჯერ გვითქვამს და კვლავაც ვიმეორებთ: ცნობილი საბავშვო (ასევე სადიდოც) პოეტი **ნაირა ნიჟარაძე** *მეოცე საუკუნიდან მოდის და იმ თაობის დიდი მწერლების, რომელთა თანავარსკვლავედში თავად შედიოდა, ესტაფეტა ღირსეულად მოაქვს. დღესაც აღფრთოვანებას და გაოცებას იწვევს მისი ნიჭის ელვარება, დაუშრეტელი ენერგია, გატაცება და ხელხვავიანობა. ოცამდე წიგნის ავტორია და ორიგინალურ სტილში წიგნის თაროს სულ მალე კიდევ ახალი კრებული შეემატება. ჩვენი გაზეთის სასურველი სტუმარი ხომ არის და არის და ასევე მეტად პოპულარულ ყურნალ* **„ათინათის“** *და* **„ანთოლოგიის“** *ნომრებსაც სისტემატურად ცინცხალი ლექსებით ამდიდრებს.*

რედაქტორი

დედას

დედაო, ჩემო ძვირფასო,
სულ მაგონდები ტკბილად,
უშენოდ არ მითენდება
ჩემი არცერთი დილა.

ჩემზე მზრუნველო, კეთილო,
მრავალტანჯულო, დედავ,
მზე მინათებს თუ მთვარე,
ყველგან შენს სახეს ვხედავ!

მშვიდობის დილა

დედაქალაქში რა ხმაურია,
იმ დიდ სასახლეს
ირგვლივ უვლიან,
ყველას სიცოცხლე
ძალზე სწყურია.

ხალხი ისწრაფვის,
რომ არასოდეს
ომის ქარცეცხლი
აღარ გვახსოვდეს.

და ცრემლთა ტალღა,
ღრმა თვალებიდან,
როგორც ფიფქები
აღარ გვათოვდეს.

ცოტახანს ვცოცხლობთ,
როგორც წესია,
ისედაც ბლომად
მტრები გვესხმიან.

რად გვინდა ჩხუბი,
რად გვინდა რისხვა,
ხალხი ამდგარა,
სიმართლეს იცავს.

ნეტავ, დაამხონ
ბოროტთა რისხვა,
დაბრუნდეს ყველა
იქ, სადაც იშვა.

გვინდა მშვიდობა,
არა მონობა
და ეროვნული
ერთიანობა.

უნდა გვიყვარდეს
ერთი მეორე,
და პატივი ვცეთ
ერთგულ მეომრებს.

რომ მეგობრობა
ვიცოდეთ წმინდა
და გავითენოთ
მშვიდობის დილა.

საქართველოში
მზემ სულ იელვოს
და შემობრძანდეს
საბედნიეროდ!

მშვიდობის ნელი – 2020

გინახავთ რომი?
ნაგებობათა უცხო სამყარო,
შექმნილი გონით,
შექმნილი ცოდნით,
გადარჩენილი ცეცხლოვან ომით?
ნახატ-ნაქარგი,
ნაძერწ-ქანდაკი,
ნაჩუქურთმები,
მსგავსი ბუნების,
ცისიერი და მდიდარ-ულევი,
ჩაბუდებულა მათში სულები.

ასეთებს ქმნიდა
სწორედ ქართველი,
მტრებმა ანგრიეს,
გააცამტვერეს,
ადამიანიც
ცხენით ათრიეს.
კალმით შემკული,
თიხით შექმნილი,
ტურფა ქართველი
იქნა ტყვედქმნილი.

მაშ, მამლუქები
საიდან გაჩნდნენ?
და სამარიდან
გმირულად აღსდგნენ...

გამოიარეს საუკუნენი
და მოაღწიეს ჩვენთან უვნებლივ,
ახლა ერთმანეთს ნუ ეომებით,
გეყოთ ბრძოლები, გეყოთ ომები.

შექმენით ქვეყნად, მშვიდობა ერთად
და გააოცეთ ბებერი მცხეთა!

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო!“

მუზის და კალმის ნაყოფი

ჩვენი *რესპონდენტი* **ბესო გოძიაშვილი** *19 წლისაა, დაიბადა და გაიზარდა თელავში. პატარაობიდანვე საკუთარი იდეების განვითარებაზე ფიქრობდა და ამიტომაც ადრეული ასაკიდან, 14 წლისამ დაიწყო მუშაობა... როგორც თვითონ გვითხრა მშობლები,* **მიხეილ გოძიაშვილი** *და* **ნათია წიფლაშვილი** *ლოიალურები არიან მის მიმართ და ცდილობენ არ შეზღუდონ მისი თავისუფლებისკენ სწრაფვა. ბესო სტუდენტია, სწავლისა და სამსახურის პარალელურად, აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში. ლიტერატურის სიყვარული და შემოქმედებითი უნარები მემკვიდრეობით ბებოსგან,* **ეკა ოთარაშვილისგან** *ერგო... დატვირთული გრაფიკის მიუხედავად მუზა სულ თან დაჰყვება... 13 წლის ასაკიდან წერს ლექსებს, ნოველებს, ჩანახატებს... სამყაროს შეცნობის სურვილი არასდროს ტოვებს, გულით უზარმაზარ სიყვარულს დაატარებს, ენერგიის დაუშრეტელი წყაროა, მიზანდასახული და დაუზარელი.*

- ბესო, მოგვიყევი შენზე, ოჯახზე...

- დავიწყებ იქიდან, რომ ჯერ კიდევ სიყრმიდან მქონდა სურვილი, შემეცნო სამყარო მთელი თავისი ,,დეტალებით“, ვიცი წარმოუდგენელია, თუმცა, დღესაც ვცდილობ ჩავწვდე ჩემთვის გაურკვეველ მის ,,ხვეულებს“. თბილ, მეგობრულ და სიყვარულით სავსე ოჯახში ვიზრდებოდი დედასთან, მამასთან და ბებოსთან ერთად. ვფიქრობ, დედას ხასიათით ვგავარ, მასავით გაგებით ვუდგები რიგ საკითხებს და მასავით გაწონასწორებული ვარ. გარეგნულად და ასევე შინაგანი სამყაროთი მამასაც ვგავარ, ასე რომ, მამის და დედის ერთიანობა ვარ... ბებო? - ჩემი ბებო, **ეკა ოთარაშვილი** ჩემი განუყრელი მეგობარია, ბავშვობიდან მოყოლებული და ასეა დღესაც... მეშვიდე წელია ემიგრანტია... მის გვერდით მყოფი ვხედავდი, როგორ გულმოდგინედ კითხულობდა თავის ნაწერებს. კითხულობდა მთელი არსებით და მეც ვუსმენდი. მისგან შევიყვარე ის სამყარო, სადაც ხშირად ერთად გვიმოგზაურია. ჩვენ უთქმელად გვესმის ერთმანეთის...

- ეკა ოთარაშვილის შემოქმედებას ჩვენი მკითხველიც კარგად იცნობს... გამოვაქვეყნეთ მისი ნაწარმოები „გაქცევით შეჩერებულები“,-რომელიც ერთ-ერთი კონკურსის ფინალისტი იყო.

- საგულისხმოა, რომ ამ კონკურსის დაჯილდოებაზე ბებოს მაგივრად მე გახლდით. მას მერე ბებომ უამრავ წარმატებას მიაღწია, საქველმოქმედო ღონისძიებებსაც მართავს და სულ უფრო და უფრო მანცვიფრებს თავისი ორიგინალურობითა და ხედვებით...

- როგორ ფიქრობ, შენს შემოქმედებაში ბებოს ზეგავლენა იგრძნობა?

- ბებოს ზეგავლენას ვერ ვიტყოდი, მაგრამ მისგან რომ შევიყვარ-შევისისხლხორცე ხელოვნება, ეს ცხადია. ჯერ კიდევ ცამეტი წლიდან დავიწყე ჩემი შეგრძნებების ფურცლებზე გადატანა. მუზა თავისით მოდის, არასდროს მტოვებს. ჩანახატები, პატარა მოთხრობები, ნოველები... ყოველი წამი, ყოველი წუთი მინდა მოვწყვიტო დროს და აღვბეჭდო ფურცელზე ჩემებურად.

- ბესო, ადრეული ასაკიდან მუშაობ და ეს იყო შენი მტკიცე სურვილი და არჩევანი...

- დიახ, სწორად აღნიშნეთ, ეს იყო ჩემი სურვილი და არჩევანი. მტკიცე და ურყევი. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ეკონომიურად არ გვიჭირდა, თოთხმეტი წლიდან დავიწყე მუშაობა და დღემდე ვმუშაობ წამყვან ანიმატორად **გასართობ ცენტრ „ბავშვთა ქალაქში“...** გავიგე გემო, საკუთარი შრომით მოპოვებული შემოსავლის. სულ სხვა შეგრძნებაა, შრომას რომ გიფასებენ და შენც „სასიამოვნოდ დაღლილი“ ხვდები, რომ დღეს უქმად არ ჩაუვლია.

-ალბათ ძნელი იყო სწავლისა და მუშაობის შეთავსება ...

-არა, არანაირად, პირიქით, უფრო მობილიზებული ვარ, უფრო მოტივირებული... სკოლის წლები საოცარი იყო. შემდეგ ჩავირიცხე თელავის უნივერსიტეტში ტურიზმის ფაკულტეტზე. უკარგესი გარემო, მეგობრები და უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრება უაღრესად საინტერესოა...

- სწავლისა და სამსახურის პარალელურად აქტიურად იღებ მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, წერ, მსახიობობაზეც ფიქრობ...

- უამრავი ოცნება და გეგმა მქონდა ბავშვობაში, მიზანდასახულობისა და ხასიათის სიმტკიცის წყალობით უმრავლესობას ხორცი შევასხი... მსახიობობასთან დაკავშირებული სურვილიც გარკვეულწილად ავიხდინე, ჩემი თავი პატარა სცენაზე გამოვცადე და ამით გული გავიხარე. ახლა ცხოვრებაში სულ სხვა, ახალი და საოცარი ეტაპი მაქვს...

- ანუ, შეყვარებული ხარ...

-დიახ, მესამე წელია შეყვარებული ვარ. ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი, მარიამი გამოჩნდა საოცარი სილამაზით და ასეთივე სულით. მარიამი მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანია. ჩვენ ზუსტად ერთმანეთის ასლები ვართ, უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. მისმა სიყვარულმა უკეთესობისაკენ შემცვალა, უფრო მზრუნველი, პასუხისმგებლიანი გამხადა... ახლა გვერდით უძვირფასესი ადამიანი მყავს და ვცდილობ ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ მისი ცხოვრება გახდეს უფრო და უფრო მშვენიერი.

- რაზე ოცნებობთ შენ და მარიამი?

- ადრე ოცნებები მქონდა, რაც მარიამს შევხდი უკვე

მიზნები და მისკენ სავალ გზებს ვიკვლევ. გვსურს ჩვენც ისეთი წესიერი და ღირსეული, სიყვარულითა და პატივისცემით გაჯერებული ოჯახი გვქონდეს, როგორიც ჩვენს მშობლებს აქვთ. ჩვენ ერთად ვფიქრობთ და ნელ-ნელა სიყვარულის ნაბიჯებით მივიწევთ წინ.

- წარმატებებს გისურვებთ ყველა მიმართულებით...

- მადლობა, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაზაფხულის დღესასწაულები მივულოცო მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს.

ირმა მებონია

ბესო გოძიაშვილი

ძია სისო

ღამის თორმეტი საათი იყო. გარეთ საშინელი ბურუსი იდგა და ლამპიონების შუქი ძლივს ლამობდა ქუჩის განათებას. როგორც იქნა მე და ძია სისო მძიმე სამუშაოს შემდეგ მარტო დავრჩით. ჩვენ იქვე, ხის ნესტიან სკამზე ჩამოვსხედით და ჩუმად ვუგდებდით ყურს სიჩუმეს. ყოველთვის მქონდა შეგრძნება, რომ მას ჩემთან რაღაც მნიშვნელოვანის თქმა უნდოდა, რომლის გამხელის სურვილიც იშვიათად უჩნდება ადამიანს. მაშინაც იგივეს ვგრძნობდი. ძია სისომ სიგარა ამოიღო და მოუკიდა. გვერდიდან მის პროფილს შევცქეროდი და ვატყობდი წარბები როგორ ჰქონდა დაწეული, შუბლი შეჭმუხნული, რაღაცას განიცდიდა, იმის მიუხედავად რომ ახლა ყველაფერი რიგზე იყო. ვხედავდი მის თითებს და მის ნაოჭიან სახეს, როგორ ივლებდა ხელს წვერზე , თითქოს ეფერებოდა, მაგრამ ეს მისი ჩვევა იყო. მიხვდა,რომ ვუყურებდი და ისეთი სახით შემომხედა, თითქოს წინასწარ იცოდა რა კითხვა უნდა დაესვა.

- მოგწონვარ?

- ეგ რა შუაშია ძია სისო?

- ადამიანს მაშინ ვუყურებ მე, თუ ის მომწონს, გამოდის,რომ მოგწონვარ.

- „ძიაჩემო, კაცები არ მაინტერესებს მე“ (ორივეს გაგვეცინა ამ ხუმრობაზე, რადგან ეს ფრაზა აკვიატებული ჰქონდა ჩვენს ერთ მუშას).

- მართალია შვილო, მეც ქალი მიყვარდა ახალგაზრდობაში. ერთი კი არა ბევრი. თქვა და ჩაიცინა, რადგან ეს ყველაფერი მისთვის წარსული იყო. ძია სისო ის კაცი იყო, რომელიც მძიმე სამუშაოს ასრულებდა თავისი ასაკის მიუხედავად. ერთ დროს ძია სისო წელში გამართული დადიოდა, უხაროდა ცხოვრება, მაგრამ დრომ და იმ ადამიანებმა, ვინც თავს ,,კარგ“ ადამიანებად თვლიდნენ, ძია სისოს ცხოვრება ტრაგიკული გახადეს. ძნელი სათქმელია როგორ... ამას ვერ მიხვდებით, ვიდრე მის თვალებს არ შეხედავთ, რომელიც ყველაფერს მაინც არ ამბობდა. ერთად გავუყევით ბურუსით მოცულ გზას. ხმას არცერთი არ ვიღებდით. მივხვდი, რომ ძია სისოს, რაღაც რიგზე ვერ ჰქონდა. სახლამდე მივაცილე და კარებთან დამშვიდობებისას მითხრა: - ეცადე იბრძოლო, რომ არ იყო ისეთი, როგორიც სხვები არიან... და კარები გაიხურა. არ ვიცოდი მაშინ რას გულისხმობდა. მეორე დღეს მისი გარდაცვალება გავიგე. თავზარი დამეცა. პანაშვიდზე სოფლებიდან და ქალაქებიდან მოდიოდა უამრავი ხალხი სამძიმარზე. თურმე ძია სისოს ყველა იცნობდა. ახალგაზრდობაში ბევრი სიკეთე დაუდია ცხოვრების გობზე. იძახდნენ, სხვებს არ გავდა და ამიტომ გვიყვარდაო. ახლა კი ვიცი რატომაც მითხრა, რომ „სხვებს არ უნდა ვგავდე“. ის ერთი მოხუცი მეგონა, რომელიც ყველას დავიწყებული ჰყავდა და თურმე თავისი საქმეებით, ის ბევრად მდიდარი ყოფილა. მიწა მივაყარეთ და ყველამ ერთად დავიტირეთ ჭირისუფალის გარეშე. სისო სიკეთით აკეთებდა ყველაფერს და სანაცვლოდ არაფერი სურდა. კეთილი კაცი, ძია სისო მიწაშია. ასეთი სასტიკია ცხოვრება...

***

ძია სისოს გარდაცვალებიდან ერთი კვირა გასულიყო. ეს დღეები ჩემთვის საშინელი იყო, რადგან სამსახურში მისვლისას აღარ მხვდებოდა ჭიშკართან წელში ოდნავ მოხრილი კაცი, რომელსაც სურდა საქმე პირნათლად შეესრულებინა, საღამოც სახლში ვალმოხდილი დაბრუნებულიყო და კიდევ ერთი დღე გადაეტანა ასე ბრძოლაში. საღამოობით მარტო მივდიოდი შინ, მძიმე სამუშაოს დასრულების მერე და სულ მაკლდა ვიღაც... ეს, ჩემი ძია სისო იყო, რომლის ბრძნული გამონათქვამები ახლაც ჩამესმის ყურში. ერთ საღამოს მის სახლთან ჩავიარე და მონატრებით ავხედე... ჩაბნელებული ფანჯრების ნაცვლად განათებული ფანჯრები დამყურებდა თავზე. ვიღაცას შუქი აუნთია, გამიკვირდა. აღელვებულმა ფეხაკრეფით ავირბინე კიბის საფეხურები და დაუკაკუნებლად შევაღე კარი. ორი ახალგაზრდა ბიჭის სისწრაფით შემობრუნება ჩემსკენ (რომლებსაც მოესწროდ უკვე და ყველაფერი ძირს დაეყარათ), მე უკვე ხელში მეჭირა მურიან ბუხართან დაყუდებული რკინის დიდი საჩხრეკი.

- ახლავე გაეთრიეთ ამ სახლიდან, როგორ ბედავთ თქვენი ბინძური ხელის შევლებას ძია სისოს ნივთებზე!

-შენ თვითონ ვინ ხარ? დაუშვი ეგ რკინა და გაბრუნდი უკან. ჩვენ სისოს შვილები ვართ.

-შვილები?..მას არასოდეს უთქვამს ჩემთან ეს...

-ჰაჰაჰაჰა, არ გეტყოდა, მას არც ვაინტერესებდით, უბრალოდ რაღაცის წასაღებად მოვედით და მალე წავალთ.

-კი, მაგრამ საფლავზე რატომ არ მოხვედით? ანდა, როცა ცოცხალი იყო, რატომ არ ნახულობდით კაცს, რომელიც მამა იყო თქვენი? წამით ხმა ჩაუწყდათ, ვერაფერი თქვეს და შემდეგ თითქოს ცხოვრებაში პირველად ამოიოხრეს. ეს ოხვრა, სინანულისას ჰგავდა, რომელსაც ზოგჯერ საკუთარ თავსაც არ უმხელ. მათ გააგრძელეს ძებნა. ეძებდნენ იმას, რაც არასოდეს შეუნახავთ მამის სახლში და არც ძია სისოს შეუნახავს მათთვის. ელდანაცემი იქვე საკმზე დავჯექი. ვიგრძენი ხელი მეტკინა და დავიხედე. რკინის

გაგრძელება მე-11 გვ.

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო!“

სევდა და ოპტიმიზმი

მე, სალომე ბეჟიტაშვილი ვარ 16 წლის, ჟურნალისტობაზე მეოცნებე გოგონა.

ჩემს საყვარელ გაზეთ „სახალხო განათლება+“-სთან მსურს თანამშრომლობა. მინდა თქვენამდე მოვიტანო ჩემი ნააზრევი... წერა ჩემი ჰობია, ის ჩემთვის ერთგვარი შვება და თავისუფლებაც კია... როცა ვწერ თავი ჩიტივით თავისუფალი მგონია, იმ ჩიტივით, რომელსაც ყველანაირი პრობლემა გადალახული აქვს და სურს სამშობლოს ლამაზი და ბედნიერი კუთხეებით დატკბეს... დღეს ჩემი თემა თავისუფლებას არ ეხება. ჩანახატი, რომელსაც წარმოგიდგენთ ეძღვნება დედასავით თბილ და ტკბილ დეიდას, **თინიკო გაბოძის** ხსოვნას.

***

ყველა თავის ისტორიას ქმნის და ამ ყველა ისტორიას თავისი ავტორი და სახელი აქვს.

ეს ისტორიები ერთმანეთისგან განსხვავებულია, ზოგი გაუსაძლისი ტკივილით და მწუხარებით სავსეა, ზოგიც სიყვარულითა და ზღვა ბედნიერებითაა გაჯერებული.

ყველაფერს ასე, რომ ვთქვათ თავისი მინუსები და პლუსები აქვს...

ადამიანები ცდილობენ, თვითონ მართონ ცხოვრება მაგრამ ზოგჯერ ასე არ არის, ცხოვრება მუდმივად ცდილობს მართოს ადამიანები და ჯიუტად მიჰყავს იმ გზით, საითაც სურს.

ადამიანი ძლიერი არსებაა, უფრო სწორად ქვაა, რკინაა, რომელიც არ ტყდება... არ ეპუება ცხოვრების მართვას... იღვწის, იბრძვის... არ ნებდება... ზოგჯერ გამოსდის, ზოგჯერ - არა.

ჰო, ცხოვრება ეკლიანი გზაა, სიარულისას ყოველი ნაბიჯის გადადგმისას უხეშად, მტკივნეულად გერჭობა ფეხის გულებზე, მაგრამ ითმენ ამ „თითქოს“ უმნიშვნელო დეტალს. ცხოვრების ნახევარს, რომ გაივლი შემდეგ ხვდები, რომ ეს გამოცდა იყო, ოღონდ, მწარე და მტკივნეული შეგონებით, თითოეული თავის ღრმა კვალს ტოვებს სულში, გულში... მაგრამ იბრძვი... არ ნებდები... კვლავ იბრძვი...

ცხოვრება, არჩევანი როდია კარგსა და ცუდს შორის. ცხოვრება ალბათ, მკაცრი გაკვეთილია, ან თუნდაც, ბედისწერაა კარგი ან ცუდი დასასრულით...

ზოგჯერ ცხოვრება გაფურჩქნულ ვარდს ჰგავს, რომელიც მშვენიერი გეჩვენება, უეცრად კი, დრო გადათელავს ამ სიკარგეს და რა? - დამჭნკარ ზოგჯერ ასე არ არის, ცხოვრება მუდმივად ცდილობს მართოს ადამიანები და ჯიუტად მიჰყავს იმ გზით, საითაც სურს.

ადამიანი ძლიერი არსებაა, უფრო სწორად ქვაა, რკინაა, რომელიც არ ტყდება... არ ეპუება ცხოვრების მართვას... იღვწის, იბრძვის... არ ნებდება... ზოგჯერ გამოსდის, ზოგჯერ - არა.

ჰო, ცხოვრება ეკლიანი გზაა, სიარულისას ყოველი ნაბიჯის გადადგმისას უხეშად, მტკივნეულად გერჭობა ფეხის გულებზე, მაგრამ ითმენ ამ „თითქოს“ უმნიშვნელო დეტალს. ცხოვრების ყვავილად წარმოჩინდება წამში. რთულია ისაუბრო ადამიანებზე, ცხოვრებაზე და მითუფრო სამყაროზე, სიკეთისა და ბოროტების წრებრუნვაზე. რადგან თემას, სათქმელს ბოლომდე ვერ ამოწურავ. ვერც ტკივილს და ვერც სატკივარს „ამოწურავ“ ბოლომდე... სამაგიეროდ სწავლობ გამკლავებას, ტკივილის დამალვას ან სულაც გაფერადებას, თუნდაც ლამაზი მოგონებებით...

ისედაც დიდებული იყო ჩემი დეიდა, სულით, გულით მშვენიერი. ბევრის ცხოვრება აავსო ლამაზი ფერებით, ბევრს სული გაუფერადა, ბევრს გონება, კიდევ უფრო ბევრს სამყაროს შეგრძნობისა და მშვენიერების აღქმის უნარი....

ადამიანები ვცხოვრობთ წარსულის მოგონებით აწმყოში და არ უნდა დავკარგოთ იმედი მომავლის, ახლა მოვეფეროთ ერთმანეთს, ახლა გავუთბოთ გულები, რადგან არ ვიცით რა იქნება მომავალში...

ყოველდღიურობასთან შეხებით ვაკეთებთ დასკვნებს... იმ ყოველდღიურობასთან რომელსაც ჩვენი თვალით ვხედავთ...

და ეს ყოველდღიურობა მოსაბეზრებელი რომ არ იყოს, ნაცრისფერი რომ არ იყოს, უფერული რომ არ იყოს, მოდი, გააფერადე... მოდი შესძინე ფერი...

მოდი გამოიგონე რამე... მე გამოვიგონე... მე გამომივიდა...

მე ვეფერები ჩემი გულის კუნჭულში, საგანძურივით ღრმად დამალულ ტკივილს და ამ მოფერებას კონკრეტული სახელი აქვს...

მას დეიდას ნათელი მოგონება ჰქვია...

ის მარადჟამ იცოცხლებს ჩემში...

სალომე ბეჟიტაშვილი

მე-10 გვერდიდან

მუზის და კალმის ნაყოფი

საჩხრეკს მთელი სიძლიერით ვუჭერდი, თითები სულ გამთეთრებოდა. გამახსენდა ძია სისოს ტკივილით ნათქვამი, რომელსაც მაშინ დიდი მნიშვნელობა არ მივეცი, რას წარმოივდგენდი რა ტკივილზე საუბრობდა. ,,დაიმახსოვრე: ხეს რომ მეტყველება შეეძლოს ატირდებოდა მაშინ, რამდენი ნაყოფიც დაუვარდებოდა ძირს ტოტებიდან. შვილი-შენი ნაყოფია. თუ მწკლარტე გამოერია, საკუთარ თავს ადანაშაულებ. შეგეშალა. შვილია, რომელსაც ვერასოდეს უარყოფ. შვილია, რომელსაც ვერასოდეს დასჯი სხვასავით და სულ რომ გეწვის გულში თუ სულში. მას მუდმივი ადგილი აქვს შენში. „მე იქ არაფერი აღარ მესაქმებოდა. იქ ყველა ნივთი, ყველა მოგონება შებღალეს ძია სისოსი, მაგრამ ფეხს ვერ ვიცვლიდი, რადგან მეგონა ჩემი იქ ყოფნით რაღაცას გადავარჩენდი. სულმოცარული შვილები, წავიდნენ ხელმოცარულები. არც დაინტერესებულან მე რატომ ვრჩებოდი. არც შეეძლოთ ამის გაგება. ძია სისო... რა ბოღმა და ტკივილი უტარებია გულით. ეს იყო იმაზე დიდი და ძნელი ასახსნელი ალბათ, რასაც დუმილით აჩერებ, რადგან სიტყვების შეუსაბამობაა ამ დროს. თურმე, როგორ ენატრებოდა შვილები, თუნდაც ტკივილიანი შვილები. ხის ნაყოფივით რომ დასცვივდა ტოტებიდან. სითბო ენატრებოდა და ღამღამობით ვინ იცის როგორ ეფერებოდა მათ სურათებს თავისი დანაოჭებული ხელებით. უკვე არეული ოთახის დათვალიერება დავიწყე. მაგიდაზე გაზეთი დევს, სიგარეტი, უამრავი წამალი, გადასახადები, რომლებსაც ველარ იხდიდა და აი, რვეული დევს. თვალი მოვარიდე, ძია სისოს არ მოეწონებოდა მისი რვეული წამეკითხა, არადა, თითქოს რაღაც მეწეოდა, მექაჩებოდა და გადავშალე კიდეც. ეს ის რვეული იყო, სადაც ძია სისო თავის ყოველ განვლილ დღეებს აღწერდა. ცრემლებს ვერ ვიკავებდი, რაოდენ მძიმე ცხოვრება ჰქონია. შვილებმა დიდი ჭრილობები დაუტოვეს. ისეთი, მორჩენასაც რომ ვერ შესძლებდნენ. მის დღიურში მეც ვიყავი. ბიჭი, რომელთანაც ძია სისომ საუკეთესო დღეები გაატარა და მძიმე ცხოვრება ნაწილობრივ შეუმსუბუქა . მის დღიურში მე, ბიჭი მერქვა, რომელიც ყველას გაღიმებას ცდილობდა, თავად კი არასოდეს გაუღიმია გულწრფელად (ესეც არ გამოჰპარვია ძია სისოს)... ტირილი დავიწყე, რადგან ვიცოდი მისნაირი კაცი არასოდეს შემხვდება და კიდევ, ასეთ ცხოვრებაში ძნელია იყო კეთილი, რადგან ყველა ცდილობს დაგამახინჯოს...

მეც დავიწყე დღიურის წერა, როგორც ძიამ სისომ. მახსოვს, რაც დამიბარა და ვიბრძვი არ ვიყო ისეთი, როგორიც ბევრი სხვა. მე ძია სისო მინდა ვიყო. კაცი, რომელიც ყველას ყველაფრით და არაფრით უყვარდა...

ინტერვიუ

- თქვენ მისვამთ კითხვებს. პასუხი შეგიცვლით ჩემზე წარმოდგენას და მაინც გინდათ დამისვათ კითხვა?

-დიახ (ჟურნალისტის ეს „დიახ“ დამაჯერებელი იყო, მაგრამ იყო ამ დიახში რაღაც მერყევიც)... კარგით, მაშ ასე. თქვენ იღვიძებთ დილით და ემზადებით სამსახურში წასასვლელად, რომ თქვენი უფროსის ბრძანებები შეასრულოთ და დღის, თუნდაც ცხოვრების განმავლობაში არ აქცევთ წვრილმანებს ყურადღებას. მატერიალურ საგნებში ცდილობთ ბედნიერების დანახვას და არ დაფიქრებულხართ იმაზე, რითაც ამ დღემდე მოაღწიეთ...

-კი მაგრამ თქვენ როგორ ცხოვრობთ, რას აკეთებთ, ან რას ფიქრობთ? - კითხვა შევუბრუნე. გითხარით, წარმოდგენას შეიცვლით-მეთქი. მე თქვენგან განსხვავებით სამყაროში თითოეულ დეტალს ვაქცევ ყურადღებას. ვუღრმავდები წვრილმანებს და ზუსტად წვრილმანებში ვპოულობ ბედნიერებას. ვზივარ სავარძელში და არავინ მყავს, ვინც მოვა. ამიტომ სულ ვფიქრობ იმაზე, რაზეც ფიქრს ზოგიერთი ადამიანიც ვერ გაუძლებდა. დიდი ხნის მანძილზე ვკარგავდი საკუთარ მეს, რომელიც იყო შინაგანი ძახილი, რომ მე მათ არ ვგავდი. ვკარგავდი მეს, რომლის გამოც განმსჯიდნენ ჩვეულებრივი მოკვდავნი, რადგან მე მათ არ ვგავდი. დროის სვლასთან ერთად ვკარგავდი საკუთარ “მეს” და ვიცვლებოდი. შინაგანად სიმხურვალეს ვგრძნობდი. არ მსურდა ბრბოს ნაწილი ვყოფილიყავი, მაგრამ მათნაირად თუ არ მოვიქცეოდი, ისინი ზურგს მაქცევდნენ და განმსჯიდნენ. ასეა, ბრბოს ეშინია განსხვავებული აზრის და იმ ადამიანების, ვინც განსხვავებულად ფიქრობს. მეც მათნაირი მანერები მქონდა. ადამიანი გადარჩენისთვის ყველაფერს აკეთებს, საკუთარ „მე“ - საც სწირავს, რომ გადარჩეს, იარსებოს, მაგრამ შინაგანად მკვდარი იქნება. ახლა მეც მასე ვარ. შინაგანად მკვდარი ვარ, რადგან მაიძულეს მათი ნაწილი ვყოფილიყავი. იმ სამყაროს ნაწილი, სადაც რეალური არაფერია და არც არავინ ცდილობს იყოს ნამდვილი. ვუყურებდი მათ სახეებს და ვხვდებოდი, მათი ცხოვრება წამიერი იყო, მხოლოდ ფუფუნებისთვის ცხოვრობდნენ. ეჰ, ახლა რომ დამაბრუნა იმ დროში, სადაც ნამდვილი მე ვიყავი, გარწმუნებთ, არასოდეს ვაიძულებდი ჩემს თავს შეცვლას, რადგან ახლა მეზიზღება საკუთარი თავი. არარაობა ვარ, რომელიც ვცდილობ გავექცე საკუთარ თავს. არავის ველოდები ამ ცხოვრებაში, რადგან ჩემი განსხვავებული აზრის გამო, ყველამ ზურგი მაქცია, მაგრამ მე ვცხოვრობ. ვცხოვრობ და არაფრისთვის ვცოცხლობ. ამბობენ, დღეს შეიძლება გტკიოდეს, მაგრამ ხვალ ისევ გაიღიმებო. მეც ვიღიმოდი იქამდე, სანამ ტკივილმა, რომლის გადატანაშიც არავინ მეხმარებოდა საბოლოოდ ჩამყლაპა. ესეც ასე, არარეალურ სამყაროში მცხოვრები, რეალურად მოაზროვნე კაცი ვარ... მთელი ეს საუბარი, ჟურნალისტისთვის არ შემიხედავს. ავიხედე, თვალებში შევხედე და მის თვალებს ფერი აღარ შერჩენოდა. -ხომ გითხარით, წარმოდგენა შეგეცვლებოდათ ჩემზე... ახლა თქვენც წახვალთ, ხვალ ისევ უაზროდ დაიწყებთ დღეს და როდესაც კიდევ დაბრუნდებით აქ, კითხვების დასასმელად, შეიძლება მე იქ ვიყო, სადაც ყოველ წამს იცინიან. მიგიღებენ ისეთს, როგორიც ხარ. იცოდეთ, თუ ძლიერი ხართ, ნებისმიერი წვიმიანი და საშინელი დღის მერეც გამოიდარებს.

მე-100 ბაგა-ბაღი ცეროდენების კომფორტული სახლია

ახალი სტანდარტების მხარდამხარ

თბილისის მე-100 საბავშვო ბაგა-ბაღი თქვენი შვილის მეორე სახლია – ამ დევიზით, მე-13 წელია, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, პროფესიონალ კოლექტივთან ერთად, წარმართავს ბაღის დირექტორი **მეგი მარღანია.** ახალი სტანდარტებით გათვალისწინებული მიდგომები ამ საპილოტე ბაღში ცოტა ადრე დაინერგა. ეს არის რესურსცენტრი, რომელსაც მემორანდუმი აქვს დადებული თბილისის მერიას, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის. მემორანდუმის ფარგლებში დანერგილი საპილოტე პროექტები, რომლებიც შემდეგ სხვა საბავშვო ბაღებში ხორციელდება, შემოწმებას ჯერ აქ გადის. ასევე, აქ ხდება ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების, მომავალი სპეციალისტების, ფსიქოლოგების, სპეც. პედაგოგების, ვინც მომავალში საბავშვო ბაღებში უნდა დასაქმდნენ, მათი გადამზადება და პრაქტიკის გავლა. მოქმედი აღმზრდელები, სპეც. პედაგოგები, ფსიქოლოგები, ვისაც დახმარება სჭირდება ამათუიმ საკითხთან დაკავშირებით, ხშირად სტუმრობენ მე-100 ბაღს, ან ამ კოლექტივის მენტორი მასწავლებლები მიდიან მათთან ბაღში და თავიანთ გარემოში ეხმარებიან პროცესის უკეთ წარმართვასა და სიახლეების გაცნობაში.

განათლების სამინისტროს მიერ განხორციელებული ახალი პროექტის ფარგლებში – ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესი, სადაც ძირითადი აქცენტი სასკოლო ასაკის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების სკოლაში უმტკივნეულოდ გადასვლის პროცესზეა გაკეთებული – ერთობლივი ტრენინგებისთვის სწორედ ეს ბაღი შეირჩა. ჩართულები იყვნენ ბაღის 4 აღსაზრდელისთვის სკოლის მზაობისა და მიმღებლობის პროცესში, ადაპტირებული და მოწესრიგებული იყო თუ არა გარემო და მასწავლებლის შერჩევაშიც კი. პროექტი დასრულდა და განათლების სამინისტროს შემაჯამებელ შეხვედრაზე წარმატებით წარადგინეს შედეგები, თუმცა თავიანთ აღსაზრდელებზე ზრუნვას დღემდე აგრძელებენ.

სასწავლო წლის დაწყებას ბევრი სიახლით შეხვდნენ. ყველაზე მასშტაბური ზაფხულის სამუშაოები იყო, რომელიც 4 თვე მიმდინარეობდა. შენობის მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, ექსპერტებმა დადეს დასკვნა, რომ იგი ექვემდებარებოდა გამაგრება-რეაბილიტაციას, მოხდა დაფინანსება და შედეგად ჩატარდა უდიდესი სამუშაო: გამაგრდა საძირკველი, შიდა ტიხრების დემონტაჟი-მონტაჟი და პირველი სართული გარემონტდა სრულად. რაც შეეხება ეზოს – მთლიანად გამოიცვალა გარე საკანალიზაციო ქსელი, თვალშისაცემია ახალი ასფალტის საფარი და კეთილმოწყობილი საბავშვო მოედნები, ატრაქციონები, ახალი სათამაშოები, სასრიალოები, ფანჩატურები, აიწონა-დაიწონა. გაკეთდა ახალი მუსიკალური დარბაზი. სააგენტომ საკმაოდ დიდი რაოდენობის სათამაშო საჩუქრად გადასცა პატარებს. სამომავლოდ, ეზო-გარემოს ნარგავებით კიდევ უფრო გალამაზებასა და გამწვანებაზე ფიქრობენ.

ახალი სტანდარტების მიხედვით გადამზადნენ საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები – **ნანული ჟღენტი** და **ნატალია მესტიაშვილი,** რომლებმაც ჩაატარეს ტრენინგები და ეს ყველაფერი აღმზრდელებს გააცნეს. ბაღში 700-მდე აღსაზრდელია. 5 მზაობის ჯგუფში წარმატებით უძღვებიან ყოველდრიური აქტივობების, პროექტებისა და პრეზენტაციების მოწყობის პროცესს აღმზრდელები: **მანანა ხუციშვილი, მაკა ფალავანდიშვილი, ლიანა ხუბაევი, ნინო გოჩიტაშვილი, მაია ყორშია, თეონა ხუტაშვილი, ინგა ჭანტურიძე, ლეილა ჭიკაძე, მარინე მელაძე და აღმზრდელის თანაშემწეები: ეკატერინე გიორგაძე, მარიამ ცისკარიძე, მარინა ლიპარტელიანი, ნესტან ბარბაქაძე, თამარ ანთიძე, ნანა კახიანი, თეკლე ხონელიძე, ლალი კავთიაშვილი, ვერა ტურტულაძე, ცაცა ტაბატაძე, მანანა კვარაცხელია, ციცინო ხმალაძე.**

ინკლუზიური განათლების პოლიტიკასა და პროგრამებში ჩართულობის დღიდან ბაღში წარმატებით მუშაობს მულტიდისციპლინარული გუნდი: ფსიქოლოგები – **ლიანა ქერდიყოშვილი, ბელა ჯოხაძე,** ლოგოპედები – **ეკატერინე სამუშია** და **მაია კურტანიძე-მაჭავარიანი,** სპეც. პედაგოგები – **ნათია ქარჩავა, მარინე ქარჩავა, მაია ხაჩიძე** და **ნანა ნოზაძე.** ბავშვთან დაკავშირებით, ნებისმიერ გადაწყვეტილებას, ისინი აღმზრდელებთან და მშობლებთან ერთად იღებენ.

ცენტრებად დაყოფილ ჯგუფებში აქტივობებსა და მეცადინეობებს, აღსაზრდელთა ინტერესების გათვალისწინებით ატარებენ აღმზრდელები: **ია შავაძე, მარინე ხმალაძე, როზა ნარმანია, ირმა კუპატაძე, ლია ბუთხუზი, გიული ხუციშვილი, ოლღა კოპალეიშვილი, ნატო მაღლაკელიძე, ნუნუ მიქავა, ზოია ნოზაძე, მაია ნიბლაძე, თამარ ერისთავი, თეა კასაბური, ინგა ნოზაძე, ლამზირა მსხილაძე, თინათინ ხმალაძე, ნათია გაწერელია, თამარ გეგეშიძე, ირინე ქობალია;**

საკუთარი წვლილი შეაქვთ პატარების მოვლა-პატრონობაში აღმზრდელის თანაშემწეებს. ესენი არიან: **ლალი კევლიშვილი, ნაზიკო მაკალათია, მაგული გოზალიშვილი, ლალი ბზარაშვილი, ნანა მარგებაძე, ელმირა ფანგანი, გულო წიქარიძე, თამარ ბეშიძე, მზევინარ ლომსაძე, ხატია ალფენიძე, თამარ ციმაკურიძე, ესმა მოლაშხია, ჯეირან სარიძე, თეა გეგეშიძე, რუსუდან გვარამია, ნანა ხადილაშვილი, ლია დუნდუა, იამზე მეზვრიშვილი, ლალი ნიკოლეიშვილი;**

თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან: დირექტორის მოადგილე **თამარ ჭითაშვილი,** საქმის მწარმოებლები – **ელისო ბოჭორიძე, ეკატერინე ბასარია, მირანდა გოგიბედაშვილი;** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორები – **მზია ხელაია, ლელა ლუაშვილი;** ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები – **თამარ გოგმეჩაძე, მარიამ ქავთარაძე.**

ბაგა-ბაღი აქტიურად არის ჩართული სააგენტოსა და მერიის მიერ ორგანიზებულ პროექტებსა და ღონისძიებებში. ჩატარებულ თემატურ აქტივობებს მუსიკალურად აფორმებენ მუსიკის პედაგოგები: **ლეილა მაჩაიძე, ცისანა გრიგოლავა, გენრიეტა ზაქარიაძე, ნათია დევრისაშვილი, მაგდა ოღრაპიშვილი;**

კეთილმოწყობილ სამზარეულოში უმაღლესი ხარისხის პროდუქტისგან ამზადებენ კერძებს მზარეულები: **მარინე სვანიშვილი, ეკატერინე ბზარაშვილი, იზოლდა პოპიაშვილი, ნანული ბერულავა, ინგა ტურაშვილი, მარინე ოქრომელიძე.**

სკოლამდელი აღზრდის ამ დაწესებულებაში, უსაფრთხო და კომფორტულ გარემოში, სისუფთავე და მოწესრიგებულობა თვალშისაცემია. ამაზე კი ტექნიკური პერსონალი ზრუნავს: **ციცინო ნიაზაშვილი, ნათელა მეშველაშვილი, მაშიკო ქერდიყოშვილი, ლუიზა ცომაია-მაღნარაძე, მარინა კოსიაშვილი, ლოლიტა გამისონია, ხათუნი აბრამიშვილი, ანიჩკა მირიანაშვილი, თამარ ნარიმანიძე, ნათია რუხაძე, ნინო ბადაგაძე, ციცინო კაპანაძე, მარინე ბუთხუზი, თამარ შარიქაძე, თამარ ედიშერაშვილი, ლალი ღიბრაძე, ანაიდა ასატუროვი, ეკატერინე სეფიაშვილი, მაყვალა კილაძე, ირმა გურასპაშვილი, ქეთევან ჭაღიაშვილი, თათია ბარნოვი, მზია ქიბიშაური, ირინა ბლუაშვილი, ნინო მარჯანიძე, ზორბეგ კილაძე, ნუგზარ ჯალაღონია, გოდერძი კოროშინაძე, ლუკა ოთარაშვილი, არკადი პოღოსოვი, ოთარ ჭანტურიძე.**

თავდაუზოგავი შრომისთვის, ინკლუზიური აღზრდა-განათლების ხელშეწყობისთვის, პროექტში **„ინკლუზიური სკოლამდელი განათლება“** და ასევე, სხვადასხვა ტრენინგ-პროგრამაში მონაწილეობისთვის, **მეგი მარღანია** სიგელებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდა. ბაგა-ბაღში კარგად იციან როგორ მოერგონ ბავშვის საჭიროებებს. ამერიკიდან სკოლამდელი განათლების სპეციალისტებსაც უმასპინძლეს და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს. როგორც დირექტორი აღნიშნავს – **„მშვიდად მუშაობის და ბევრი კარგი საქმის კეთების საშუალება გვაქვს.“**

ნათია
ბურბენიძე

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050

გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედაქტორი
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 599 944 592;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N3 (4594)
4 მარტი / 2020 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113